

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის შესახებ ჩატარებული კვლევის ანგარიში

ანგარიში მომზადებულია პროექტის “საზოგადოების მოთხოვნის გაზრდა უკეთეს კანონმდებლობაზე” ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ორგანიზაცია “კონსტიტუციის 42-ე მუხლის” მიერ ამერიკული ორგანიზაცია “ერთგნული წვლილი დემოკრატიისათვის” (NED-National Endowment For Democracy) მხარდაჭერით.

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მის ავტორებს და არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

ანგარიში მოამზადეს ადვოკატებმა:

ანნა თვარაძემ

რუსუდან მჭედლიშვილმა

არჩილ ჩოფიკაშვილმა

„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“



„ერთგნული წვლილი დემოკრატიისათვის“



წინასიტყვაობა

2007 წლის 1 ოქტომბრიდან, ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ახორციელებს პროექტს „საზოგადოების მოთხოვნის გაზრდა უკეთეს კანონმდებლობაზე“. პროექტი დაფინანსებულია ორგანიზაცია „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED - National Endowment For Democracy) მიერ. პროექტის მიზანს წარმოადგენს მოქმედ კანონმდებლობაში არსებული არაკონსტიტუციური ნორმებისა და ხარვეზების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის გზით კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, დაზარალებულთა უფლებების დაცვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კონსტიტუციური კონტროლისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. პროექტის ფარგლებში მომზადდა გზამკვლევი „საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ფორმები და პროცედურები“, კონსტიტუციური სარჩელები, სოციალური სარეკლამო რგოლი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, რადიო გადაცემები, ჩატარდა ტრენინგები ადვოკატებისათვის და სხვა.

პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა, რის შედეგადაც მომზადდა წინამდებარე ანგარიში. ანგარიშის მიზანს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს საქმიანობის უკეთ გაცნობა, ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კონსტიტუციური კონტროლისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია სასამართლოს საქმიანობის ანალიზზე დაყრდნობით. მოიცავს სასამართლოს საქმიანობის ანალიზსა და არსებული სამართლებრივი საფუძვლების, პრაქტიკისა და მთელი რიგი თავისებურებების მიმოხილვას. წარმოდგენილია შედარებითი ანალიზი და ჩვენეული ხედვა იმ ხარვეზების აღმოფხვრისა, რასაც დღეს კონსტიტუციურ სამართალწარმოებაში ვხვდებით.

წინამდებარე ანგარიში, ჩვენი მხრიდან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის შესწავლის მოკრძალებული მცდელობა გახლდათ. ის არ შეიცავს სასამართლო პრაქტიკის სრულ და ყოვლისმომცველ ანალიზს, ვინაიდან საკითხი საჭიროებს შემდგომ კვლევას (შესწავლას) და ამ მხრივ მუშაობის გაგრძელებას.

ვიმედოვნებთ, ეს ანგარიში გარკვეულ წვლილს შეიტანს საკონსტიტუციო სასამართლოსა და კონსტიტუციური კონტროლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში. იგი გამიზნულია დამწყები იურისტების, სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

ნინო ელბაჭიძე

პროექტის კოორდინატორი

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. შესავალი -- 4გგ
2. საკონსტიტუციო სასამართლო-მოდელი, ფუნქციები(ათვარაძე) -- 5გგ
3. კონსტიტუციური კონტროლი, ცნება, არსი, სახეები(ათვარაძე) -- 10გგ
 - კონსტიტუციური კონტროლი თუ კონსტიტუციური ზედამხედველობა --10გგ
 - ნორმატიული აქტების კონსტიტუციური კონტროლი -- 11გგ
4. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ფორმები (ათვარაძე) -- 14გგ
 - ა) კონსტიტუციური წარდგინების შეტანის წესი -- 14გგ
 - ბ) საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის წესი -- 18გგ
5. სასამართლოში საქმის განხილვის პროცედურა, ვადები (რ. მჭედლიშვილი) -- 28გგ
6. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და აღსრულება (რ.მჭედლიშვილი) - 39გგ
7. საერთაშორისო აქტების გამოყენება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ (რ. მჭედლიშვილი) -- 47გგ
8. საქართველოს კონსტიტუციის II თავთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები (ა. ჩოფიკაშვილი) -- 58გგ
9. პარალელები და განსხვავებები საქართველოსა და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს შორის -- 81გგ
10. დასკვნა (ა. თვარაძე, ა. ჩოფიკაშვილი, რ. მჭედლიშვილი) -- 86გგ

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა და კონსტიტუციური კონტროლი საქართველოში

შესავალი

ანგარიში ეფუძნება ანალიზს, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის შესწავლა. შევეცადეთ, ნაწილობრივ მაინც მიმოგვეხილა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა და ამ მიზნით, მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა:

- პრაქტიკის უკეთ გაცნობისა და შესაბამისი შეფასებების მიცემის მიზნით, შევისწავლეთ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული 300-ზე მეტი გადაწყვეტილება: (გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი).

- მომზადდა სტატისტიკური მონაცემები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ სარჩელებზე, წარდგინებებსა და ა.შ.

- მომზადდა ანალიზი კანონმდებლობის იმ ნაწილისა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასთან. კერძოდ: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ და სხვ. შესწავლილი იქნა კანონმდებლობაში შესული ცვლილებები და განხილულია კანონმდებლობის ხარვეზები, ამ კუთხით არსებული პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები;

- ანგარიშში განხილულია რამდენიმე კონკრეტული საკითხი. კერძოდ: პოტენციური დაზარალებულის თემა, რომლის სარჩელსაც სასამართლო, ფაქტობრივად, არც კი იღებს განსახილველად; მოსარჩელის უფლებების დაცვა; სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტურობა და ა.შ. ცალკე საკითხად არის წარმოდგენილი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების პრობლემები, ასევე გადაწყვეტილებებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო ნორმების გამოყენების ტენდენციები;

- ანგარიშში, მაგალითის სახით, განხილულია გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მოდელი და მოცემულია პარალელები და განხილვები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოდელთან.

ანგარიშში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირება: მიმართვის ფორმები, პოცედურა და ვადები, სუბიექტები, ობიექტები, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება და მასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ. განხილულია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და მის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენების პრეცედენტები.

საკონსტიტუციო სასამართლო-მოდელი, ფუნქციები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1996 წელს, საქართველოში შეიქმნა საკონსტიტუციო სასამართლო, რასაც საფუძვლად დაედო 1995 წელს მიღებული კონსტიტუცია. ეს იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. პირველად შეიქმნა სრულფასოვანი და დამოუკიდებელი სასამართლო ინსტიტუტი – კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, რომელსაც შესწევს უნარი კონტროლისა და შეკავების მექანიზმებით გააწონასწოროს ხელისუფლების დანარჩენი ორი – საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოები. საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსებით, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის უშუალოდ კონსტიტუციური საკითხების გადაჭრა და მისი ამოცანაა კონსტიტუციასთან კანონებისა და სხვა სათანადო ნორმატიული აქტების შესაბამისობის დადგენა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების იურიდიულ საფუძველს ქმნის, პირველ რიგში, საქართველოს კონსტიტუცია (24.09.1995 წ.), ასევე ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ (31.01.1996წ.), საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი (21.03.1996წ.).

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, „საქართველოში სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.“¹

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ზოგადი დებულებები სწორედ იმ პრინციპებს იმეორებენ და აზუსტებენ, რაც დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით. ეს არის კონსტიტუციური კონტროლის ძირითადი პრინციპები.

კანონის პირველივე მუხლში აღნიშნულია, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო“,² ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის არის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო, რომელიც დამოუკიდებელია საერთო მართლმსაჯულებისგან. მიუხედავად დამოუკიდებლობისა, ფორმალურადაც და ფაქტობრივადაც, ის ხელისუფლების სასამართლო შტოს განეკუთვნება.

1. საქართველოს კონსტიტუცია,- 1995 წელი.

2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, - 1996წ

როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო კონტროლის ორი მოდელი არსებობს და ორივე მოდელის მიხედვით, კონტროლი სასამართლო ხელისუფლების ხელშია. ე.წ. დიფუზიური მოდელის მიხედვით, კონტროლის სპეციალური ორგანო არ იქმნება და კონსტიტუციურ-სამართლებრივი დავა უზენაესი სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების უზენაესი ორგანოს კომპეტენციაში შედის. ჩვენს შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ე.წ. კონცენტრირებული მართლმსაჯულების მოდელთან, როდესაც კონსტიტუციური მართლმსაჯულებისთვის იქმნება სპეციალური ორგანო. პირველი მოდელი დამახასიათებელია, ძირითადად, პრეცედენტული სამართლის, ანუ ანგლო-საქსური სამართლებრივი სისტემების მქონე ქვეყნებისათვის და მის პროტოტიპად აღებულია ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო. ხოლო მეორე მოდელი, უფრო კონტინენტური სამართლის სისტემისათვის არის ნიშანდობლივი.

ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკების უმრავლესობისთვის, საორიენტაციო მოდელი სწორედ ე.წ. კონცენტრირებული მოდელი აღმოჩნდა. მკვლევარები ამას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების კონტინენტური სამართლის ტრადიციებთან სიახლოვით ხსნიან. როგორც ქართული კონსტიტუციის შექმნის ისტორიიდან ჩანს, დიფუზიური მოდელი თავიდანვე გამოირიცხა. ამის ერთ-ერთი არგუმენტი კი ის გახლდათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა სპეციფიურია და ის არა უბრალოდ სასამართლო (დავის გადაწყვეტი) ორგანოა, არამედ მას პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „აქ ერთმანეთს ხვდებიან მართლმსაჯულება და პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ანუ აქ პოლიტიკა სამართლებრივი გადაწყვეტილებებით კეთდება“³ ამიტომ, კონსტიტუციის ავტორებმა ჩათვალეს, რომ კონცენტრირებული მართლმსაჯულება უფრო ეფექტური და ლეგიტიმაციის უფრო მაღალი ხარისხის მქონე იქნებოდა იმ ფუნქციებისა და მიზნების შესასრულებლად, რაც კონსტიტუციური კონტროლის ფუნდამენტი და არსია. ასე რომ, საკონსტიტუციო სასამართლო არის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელი ორგანო. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ პირველი მუხლით განსაზღვრულია სასამართლოს ფუნქციები და მიზნები. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო „უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებასა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.“⁴ კანონის ზოგადი დებულებებით გათვალისწინებული ეს სამი ფუნქცია, ერთი პრინციპის ირგვლივ ტრიალებს – დაცული უნდა იქნას ქვეყნის უზენაესი კანონით გათვალისწინებული ნორმები და პრინციპები, როგორც ერთი მთლიანი სისტემა.

3 „კონსტიტუციის მიღება და შემუშავება საქართველოში“- ვოლფგანგ გაული, გვ.249., ქობულაძისი, 2002წ.

4. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“- 1996წელს

პირველი ფუნქცია – კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა – გულისხმობს იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გააუქმოს ყველა ის აქტი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასთან. მეორე – კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფა – გულისხმობს იმ პოლიტიკური წესრიგისა და ნორმების დაცვას, რომელიც ქვეყნის უზენაესი კანონით არის გათვალისწინებული. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება კონსტიტუციით გათვალისწინებული პოლიტიკური წესრიგი. საკონსტიტუციო სასამართლოს ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მხოლოდ მან გადაწყვიტოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ კომპეტენციებზე წამოჭრილი დავა შესაბამის სუბიექტებს შორის და არ დაუშვას კონსტიტუციის დარღვევა. განსაკუთრებით საყურადღებოა მესამე ფუნქცია – ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. აქ უკვე საუბარია საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებულ უფლებებზე, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე.

კანონმდებლობა ითვალისწინებს კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებს. „საკონსტიტუციო სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, კოლევიალობის, საქვეყნობის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის“ პრინციპებზე დაყრდნობით. ეს პრინციპები, ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, აუცილებელი თეზისებია და ისიც ისევე ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საერთო სასამართლოებს.

ამ ოთხი პრინციპის თანახმად, ყოველი კონკრეტული საქმის განხილვა უნდა მოხდეს კანონის საფუძველზე, საჯაროდ და დაცული უნდა იქნას მხარეთა თანასწორობა, ანუ სახელმწიფო და ჩვეულებრივი მოქალაქე, თანასწორ მდგომარეობაში უნდა იქნას ჩაყენებული პროცესის მიმდინარეობის დროს, მტკიცებულებების წარდგენისა თუ სხვა პროცესუალური უფლებების გამოყენების თვალსაზრისით.

გარდა ამისა, დაცული უნდა იყოს შეჯიბრებითობის პრინციპი, ანუ სასამართლო დავა უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე უფრო დამაჯერებელ არგუმენტებს წარადგენს. ეს, თავის მხრივ, კავშირშია მხარეთა თანასწორობის პრინციპთან.



საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა და სტრუქტურა

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს სასამართლოს სტრუქტურასა და შემადგენლობას. კანონის მიხედვით, სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. პლენუმი შედგება სასამართლოს ცხრავე მოსამართლისაგან, ხოლო თითოეული კოლეგიის შემადგენლობაში შედის 4-4 წევრი. კოლეგიის შემადგენლობას, სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, ამტკიცებს პლენუმი.⁵

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა უფლებამოსილება განისაზღვრება 10 წლის ვადით. მოსამართლეთაგან 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 წევრს ირჩევს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის 3/5, ხოლო 3 წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. მოსამართლეთა შემადგენლობიდან აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე 5 წლის ვადით. სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით. თავმჯდომარედ ერთი და იგივე პირის ხელმეორედ არჩევა, დაუშვებელია. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე იწვევს და უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სხდომებს, ხელს აწერს პლენუმის მიერ მიღებულ აქტებს, დასამტკიცებლად წარუდგენს პლენუმს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტსა და აპარატის დებულებას, ანაწილებს კონსტიტუციურ სარჩელებსა და წარდგინებებს, საერთო ხელმძღვანელობას უწევს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის საქმიანობას, სამუშაოზე იღებს და სამუშაოდან ათავისუფლებს აპარატის მუშაკებს, განკარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს საბიუჯეტო ასიგნებებს, ახორციელებს კანონმდებლობითა და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ორ მოადგილესა და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის სამართლებრივი, ორგანიზაციული, საკადრო, საფინანსო და მატერიალური მხარეების განხორციელებას უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატი.

5. საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ”; 1996წელი.

აპარატის საქმიანობას ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი. საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის სტრუქტურაშია შემდეგი დანაყოფები: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის სამდივნო; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეთა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა აპარატები; სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი; საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტი; კანცელარია; კადრების განყოფილება; სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება; საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილება.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, უფლებამოსილებას ახორციელებს სპეციალური ჩაცმულობით. ამჟამად, საკონსტიტუციო სასამართლო ქ. ბათუმში მდებარეობს.

კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დამოუკიდებლობის გარანტიებსაც ადგენს. კანონის მე-4 მუხლი აწესებს, რომ საკონსტიტუციო მოსამართლე საქმის ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებლად, მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია და ისჯება კანონით. ამავ მუხლით, სახელმწიფო ვალდებულია, მოსამართლის ასეთი დამოუკიდებლობისათვის, შექმნას შესაბამისი პირობები, უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება. კონსტიტუციით უზრუნველყოფილია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ხელშეუხებლობა და გათვალისწინებულია სასამართლოს წევრის დამოუკიდებელი საქმიანობის უზრუნველყოფის სხვა გარანტიები. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი აყალიბებს საკონსტიტუციო სასამართლოს ფინანსური დამოუკიდებლობისთვის საჭირო წესებს: 1. სავალდებულოა საკონსტიტუციო სასამართლოს დაფინანსება იმ მოცულობით, რაც საჭიროა მისი ფუნქციონირებისთვის; 2. საკონსტიტუციო სასამართლოს დაფინანსება განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე მუხლით და ამ მუხლით გათვალისწინებული ხარჯები, არ შეიძლება იყოს იმაზე ნაკლები, ვიდრე წინა წელს; 3. დაფინანსების მოცულობა და სტრუქტურა განისაზღვრება თავად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენილი ბიუჯეტის პროექტით; 4. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გადაეცეს მისი საქმიანობისთვის საჭირო შენობა და სხვა ქონება. ასე რომ, კანონის ზოგადი დებულებები, გარდა იმისა რომ ადგენენ საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობას, ასევე ითვალისწინებენ იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასამართლოს რეალურ დამოუკიდებლობას – ეს არის ფინანსური და მატერიალური დამოუკიდებლობა სხვა ორგანოებისაგან.

კონსტიტუციური კონტროლი, ცნება არსი, სახეები

საკონსტიტუციო სასამართლო, ქვეყანაში, კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს.

კონსტიტუციური კონტროლი განიხილება ფართო და ვიწრო გაგებით. საკონსტიტუციო კონტროლი ფართო გაგებით, გულისხმობს ყველა გამოცემული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებას, ხოლო ვიწრო გაგებით, მხოლოდ ნორმატიული აქტის შემოწმების საშუალებას იძლევა. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, სახეზე გვაქვს საკონსტიტუციო კონტროლი ფართო გაგებით, თუმცა საკონსტიტუციო კონტროლი არ ეხება ყველა ინდივიდუალური ხასიათის აქტებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს.

საქართველომ, მსოფლიოში გავრცელებული კონსტიტუციური კონტროლის ფორმებიდან, გერმანული მოდელი აირჩია, დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს სახით, განსხვავებით ამერიკული სისტემისგან, სადაც კონსტიტუციურ კონტროლს საერთო სასამართლოები ახორციელებენ და ფრანგული მოდელისაგან, სადაც კონსტიტუციური იუსტიცია ხორციელდება კვაზი სასამართლო ორგანოს – საკონსტიტუციო საბჭოს მიერ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, კონსტიტუციური კონტროლის ორგანოთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც მათთვის დადგენილ სფეროში, უმაღლესი ძალაუფლებით სარგებლობენ. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება სამართალშემოქმედებაზე, პოლიტიკურ ურთიერთობათა ფართო წრეზე რეფერენდუმზე, არჩევნებზე, მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, პარლამენტის შიდა ცხოვრებაზე, უმაღლესი თანამდებობის პირების იმპიჩმენტის პროცედურაზე, ადამიანსა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციურ ურთიერთობებზე.

ა) კონსტიტუციური კონტროლი თუ კონსტიტუციური ზედამხედველობა

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მისი ფარგლები, ნორმატიული რეგულირება და სხვა თავისებურებები, ზშირად წარმოშობენ პრობლემურ საკითხს. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს კონსტიტუციურ კონტროლს თუ კონსტიტუციურ ზედამხედველობას? სპეციალისტები, მაგალითად ბატონი ოთარ მელქაძე, ტერმინს „საკონსტიტუციო კონტროლი“ მიჯნავს „საკონსტიტუციო ზედამხედველობისგან“ და მიიჩნევს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, უფრო საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოა, ვიდრე საკონსტიტუციო კონტროლის, ვინაიდან კონტროლი ზედამხედველობისგან განსხვავებით, მართვის პროცესში, თვითინიციატივურ ჩარევასაც გულისხმობს. მაშასადამე, საკონსტიტუციო კონტროლი, კანონშემოქმედებით პროცესში გარკვეული ჩარევაა კანონპროექტების წინასწარი ექსპერტიზის გზით, კანონთა კონსტიტუციურობის უზრუნველყოფის მიზნით.⁶

6. „საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე“-ოთარ მელქაძე, ქ.თბილისი, 1996წ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კი, არ ახორციელებს კანონპროექტების წინასწარ ექსპერტიზას, რის გამოც ის უფრო ზედამხედველობის ორგანოდ უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე კონტროლის. სავსებით შესაძლებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება მომავალში გაფართოვდეს და ზოგიერთი ევროპული ქვეყნის: ავსტრიის, იტალიის, პორტუგალიისა და სხვათა მსგავსად, განახორციელოს ე.წ. პრევენციული კონტროლი. წინასწარი კონტროლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საარჩევნო კანონმდებლობასთან მიმართებაში, რათა ერთპარტიული საპარლამენტო უმრავლესობის პირობებში, იმთავითვე გამოირიცხოს არაკონსტიტუციური ნორმების მიღება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ტიპიური კონტინენტური ევროპული მოდელის სასამართლოს მსგავსად, ახორციელებს მომდევნო კონტროლს, რამდენადაც ის ადგენს უკვე ძალაში შესული ნორმატიული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან. თუმცა, რატიფიცირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების კონსტიტუციურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, შესაძლებელია მათ რატიფიცირებამდე. მხოლოდ ამ ერთ შემთხვევაშია უფლებამოსილი საკონსტიტუციო სასამართლო, განახორციელოს წინასწარი კონსტიტუციური კონტროლი.

ბ) ნორმატიულ აქტებზე კონსტიტუციური კონტროლი

ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა, მატერიალური გაგებით, ითვალისწინებს აქტის შინაარსის შესაბამისობის საკითხს კონსტიტუციის ცალკეულ დებულებებთან. ფორმალური გაგებით კი, აქტის კონსტიტუციურობა ნიშნავს, რომ აქტი შინაარსობრივად შეესაბამება კონსტიტუციას. მიღებული, გამოქვეყნებული და კანონიერ ძალაშია შესული კონსტიტუციით დადგენილი წესით: კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულია იმ ორგანოს მიერ, რომელსაც კონსტიტუციით მინიჭებული აქვს კანონშემოქმედებითი უფლებამოსილება. ამასთან, აუცილებლად უნდა იყოს დაცული ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. ხშირად გამოყოფენ აქტის კონსტიტუციურობის შეფასების შემდეგ კრიტერიუმებს:

- აქტის შინაარსი;
- აქტის მიმღები ორგანოს კომპეტენცია;
- აქტის მიღებისა და გამოქვეყნების პროცედურა;

შინაარსის მიხედვით, ნორმატიული აქტი კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს რამდენიმე კრიტერიუმით. ნორმატიული აქტით გათვალისწინებული საკითხების ბუნება უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის ნორმებს და ასევე, ნორმატიული აქტი კონსტიტუციურობის თვალსაზრისითაც უნდა პასუხობდეს იმ პრინციპებსა და სამართლებრივი რეგულირების მიზნებს, რომლებიც ქვეყნის კონსტიტუციის პრეამბულაში დევს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ზოგადად განვმარტოთ, თუ რა შემთხვევაშია ნორმატიული აქტი კონსტიტუციური.

კერძოდ, თუ იგი შინაარსობრივად შეესაბამება ქვეყნის უზენაეს კანონს, მიღებულია უფლებამოსილი სუბიექტების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოქვეყნებულია და შესულია ძალაში შესაბამისი ფორმისა და პროცედურის დაცვით.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება, აქვთ: ა) საქართველოს მოქალაქეებს, ბ) საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, გ) საქართველოს სახალხო დამცველს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი.⁷

ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობა შედეგაა არა მხოლოდ ამ ქვეყნის მოქალაქეებისგან, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისგან. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის მიხედვით, სახელმწიფოთა უმრავლესობების კონსტიტუციების მსგავსად, აღიარებული და უზრუნველყოფილია არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების, არამედ, ზოგადად ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითად ფუნქციას კი ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვა წარმოადგენს. აქიდან გამომდინარე, ამ უფლებების დასაცავად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება მიმართონ როგორც საქართველოს მოქალაქეებმა, ისე საქართველოში მცხოვრებმა სხვა ფიზიკურმა პირებმაც, თუმცა კანონი ასეთ შესაძლებლობას იძლევა ორი სავალდებულო პირობიდან ერთ-ერთის დაცვის შემთხვევაში, კერძოდ, ფიზიკურ პირებს შეუძლიათ კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანოს მიმართონ, თუ:

- მიაჩნიათ, რომ დარღვეულია კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული უშუალოდ მათი უფლებანი და თავისუფლებანი;

- მიაჩნიათ, რომ შესაძლებელია დაირღვეს მათი უფლებანი და თავისუფლებანი.

თუ პირველ შემთხვევაში საუბარია უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, მეორე შემთხვევაში, ფიზიკურ პირებს საშუალება ეძლევათ, თავიდან აიცილონ უფლების დარღვევის რეალურად მოსალოდნელი საფრთხე, ანუ თუ პირს მიაჩნია, რომ კონკრეტულ სამართლებრივ ურთერთობაში მონაწილეობის შემთხვევაში, ესა თუ ის ნორმატიული აქტი გარდაუვალად დაარღვევს მის რომელიმე კონსტიტუციურ უფლებას, მას შეუძლია ამ ფაქტის დადგომამდე მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და სადაო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, შეუფერხებლად ისარგებლოს თავისი კონსტიტუციური უფლებით.

7. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; - 1996 წელი

მოავარი პირობა, რომელიც დაცული უნდა იყოს ორივე შემთხვევაში ისაა, რომ პირმა შეიძლება იდავოს მხოლოდ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად და არა სხვის ნაცვლად. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით დასაშვებია კონსტიტუციური სარჩელის შეტანა კონსტიტუციით დაცული უფლებების სავარაუდოდ დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, უმეტეს შემთხვევაში, განსახილველად არ იღებს პოტენციური დაზარალებულის მიერ შეტანილ სარჩელებს. ამ მხრივ, სასამართლოს ძალიან დიდი პრაქტიკა აქვს. თუმცა, მიუხედავად ამისა, არსებობს გამოწვევის შემთხვევებიც: საკონსტიტუციო სასამართლომ, 2006 წლის 15 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება (№397) საქმეზე „ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-6 მე-7 ნაწილები და ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები. ამ ნაწილების მიხედვით, მოსამართლეს საქმის განხილვისას უფლება ეძლეოდა, თავისი განკარგულებით, წესრიგის დარღვევისთვის სასამართლო დარბაზშივე დაეპატიმრებინა პროცესის მონაწილე მხარე 30 დღემდე ვადით ისე, რომ დაპატიმრებულ პირს პირდაპირ ეკრძალებოდა განკარგულების გასაჩივრება, მით უფრო რომ გადაწყვეტილების მიღება ზეპირი მოსმენის გარეშე ხდებოდა, ადგილზე თათბირით და იმავე მოსამართლის მიერ. მოსარჩელე სწორედ ზემოაღნიშნული არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე იქნა მოსამართლის მიერ დაპატიმრებული სასამართლო დარბაზში, როცა ის ახორციელებდა თავის საადვოკატო საქმიანობას – განსახველის დაცვას. აღნიშნული ნორმით უხეშად ირღვეოდა კონსტიტუციით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება.

გადაწყვეტილებაში სასამართლომ იმსჯელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-5 ნაწილის მთლიანად და მე-6 ნაწილის ნაწილობრივ და ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-6 ნაწილის მთლიანად და მე-7 ნაწილის ნაწილობრივ არაკონსტიტუციურობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის (პირადი ხელშეუხებლობის უფლება) პირველ და მე-2 პუნქტებთან და 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან (სასამართლოსადმი მიმართვისა და დაცვის უფლება) მიმართებით. მოსარჩელე დაპატიმრებული იქნა სისხლის სამართლის პროცესზე სიღნაღის მოსამართლის განკარგულების საფუძველზე. განკარგულებაში დაპატიმრების საფუძველად მითითებული იქნა სწორედ სსსკ 208-ე მუხლის ნორმები ანუ სსსკ 208-ე ნორმების მიმართ მოსარჩელე წარმოადგენდა რეალურ დაზარალებულს, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის ნორმებს მოსარჩელე არ დაუზარალებია, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილს არ დაურღვევია მოსარჩელის კონსტიტუციის მე-2 თავით დაცული კონსტიტუციური უფლებები. სასამართლომ აღნიშნული სარჩელი მიიღო არსებით განსახილველად და ნაწილობრივ დააკმაყოფილა კიდევ, არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ 208-ე მუხლის მე-7

ნაწილი და 212-ე მუხლის მე-ნ ნაწილი იმ ნაწილებში, რომელიც უშუალოდ ეხებოდა სასამართლოსადმი აშკარა და უხეში უპატივეცემულობისათვის დაპატიმრებას.

ზემოხსენებული გადაწყვეტილება არის საინტერესო და ერთ-ერთი პრეცედენტული, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა როგორც რეალური, ისე პოტენციური დაზარალებულის მიმართ. მოსარჩელე ონისე მეზონიას მიმართ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოყენებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები და არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის. ნათელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სიფრთხილით ეკიდება პოტენციური დაზარალებულის მიერ შეტანილი კონსტიტუციური სარჩელების მიღებასა და განხილვას, თუმცა კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთ შესაძლებლობებს, რასაც თავის პრაქტიკაში ნაკლებდ იყენებს თავად სასამართლო.

საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ფორმები

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის ორი ფორმა არსებობს:

- ა) საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინების შეტანა.
- ბ) საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა.

იმისთვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში დაიწყო კონსტიტუციური სამართალწარმოება, ე.ი საქმის განხილვა, დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საკონსტიტუციო სასამართლოში კანონის მოთხოვნათა დაცვით შეტანას. საქართველოს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი აღგენს იმ კრიტერიუმებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება, რათა ის სასამართლოს მიერ მიღებული იქნას წარმოებაში.⁸

- ა) კონსტიტუციური წარდგინების შეტანის წესი

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, შესაბამისად, კონსტიტუციური წარდგინების შეტანა საკონსტიტუციო სასამართლოში ხდება:

- საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადასაყენებლად, კონსტიტუციის დარღვევის ფაქტზე, რაზეც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაიცემა დასკვნა;

8. საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“, 1996წ.

- იმ საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული დებულებების კონსტიტუციურობის დასადგენად, რომლებიც ექვემდებარება რატიფიცირებას (ე.ი. საქართველოს პარლამენტის მიერ არ განხორციელებულა საერთაშორისო ხელშეკრულების/შეთანხმების რატიფიცირების პროცედურა);

- თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს არაკონსტიტუციურად;⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის მიზანია არა რომელიმე დარღვეული უფლების აღდგენა სასამართლოს წესით, არამედ დასკვნის (გადაწყვეტილების) მიღება საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მხრიდან კონსტიტუციის დარღვევის (ან არ დარღვევის) თაობაზე. ასევე, დასკვნის (გადაწყვეტილების) მიღება მის რატიფიცირებამდე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების, ან მათი ცალკეული დებულების კონსტიტუციასთან შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოში, საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ კონსტიტუციის დარღვევის შესახებ დასკვნის მისაღებად, კონსტიტუციური წარდგინება შეიტანება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მიერ. აგრეთვე რატიფიცირებამდე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული დებულების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე კონსტიტუციური წარდგინება შეიტანება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მიერ. პარლამენტის წევრთა ხელმოწერები, ამ შემთხვევაში, დამოწმებული უნდა იყოს საქართველოს პარლამენტის აპარატის კადრების დეპარტამენტის მიერ.

თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა მიჩნეულ იქნეს არაკონსტიტუციურად, ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინება შეაქვს საქმის განმხილველ სასამართლოს.

9. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 1996წ.

საკონსტიტუციო სასამართლოსადმი საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის რამდენიმე საინტერესო პრეცედენტი არსებობს. 2002 წლის 19 მარტს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ. წარდგინების საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებით რატიფიცირებული „ადგილმდებარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის შეთანხმების“ მე-3 მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (სასამართლოსადმი მიმართვის უფლება) და 82-ე მუხლთან (სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა) მიმართებით. სადავო აქტის თანახმად, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი სარგებლობდა იმუნიტეტით სასამართლო და ადმინისტრაციული საქმიანობის ნებისმიერი ფორმის მიმართ. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში იხილებოდა მოქალაქე შოთა ბითაძის სარჩელი, რომელიც ეხებოდა მის სამუშაოზე აღდგენას წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტში. წარდგინების ავტორი აღნიშნავდა, რომ მოპასუხე არ ცხადდებოდა სასამართლოში და მიუთითებდა სადავო აქტზე, რომლის თანახმად: „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი სარგებლობს იმუნიტეტით სასამართლო და ადმინისტრაციული საქმიანობის ნებისმიერი ფორმის მიმართ“. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი საქართველოში, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოში, სარგებლობს იმ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, რომლებითაც ჩვეულებრივ სარგებლობენ სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციები. საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და სპეციალისტთა დასკვნების მიხედვით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისთვის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მსგავსად, პრივილეგიებისა და იმუნიტეტის მინიჭება ხდება საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობისა თუ მისი თანამშრომლების მიერ ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე ფუნქციების ეფექტური და დაუბრკოლებელი შესრულების ხელშეწყობისთვის. მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ყოველი თავისი წევრის ტერიტორიაზე, ისეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტით სარგებლობს, რომელიც აუცილებელია მისი მიზნების მისაღწევად. ორგანიზაციის თანამშრომლები ასევე სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული მათი ფუნქციების დამოუკიდებლად შესრულებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა აღნიშნული საკითხი და აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ „ადგილმდებარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის“ შეთანხმების მე-3 მუხლის თანახმად, კომიტეტი, მისი საკუთრება და აქტივები სარგებლობდნენ იმუნიტეტით სასამართლო და ადმინისტრაციული საქმიანობის ნებისმიერი ფორმის მიმართ, ეს არ ნიშნავდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისთვის აბსოლუტური იმუნიტეტის მინიჭებას. ეს კი არ გავრცელ-

დებოდა შრომით დავებზე კომიტეტსა და მის ადგილობრივ თანამშრომლებს შორის, რაც გულისხმობდა, რომ წითელი ჯვრის კომიტეტის ადგილობრივ თანამშრომლებს, თავისი დარღვეული შრომითი უფლების დასაცავად, უფლება ჰქონდათ მიემართათ ადგილობრივი სასამართლოსთვის. სასამართლოები კი უფლებამოსილები არიან განიხილონ ზემოაღნიშნული დავები. ამიტომ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს არ ჰქონდა უფლება, სასამართლო იმუნიტეტზე დაყრდნობით, არ გამოცხადებულიყო სასამართლოში. სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს სასამართლო შრომით დავებზე იმუნიტეტი არ ჰქონდა და შესაბამისად, არ შეზღუდულა მოქალაქე შოთა ბითაძისა და სხვა დასაქმებულების სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციური უფლება. შესაბამისად, გასაჩივრებული ნორმა, სასამართლომ არ ცნო არაკონსტიტუციურად.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2009 წელს, საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით მიმართა შრომის კოდექსის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილის არაკონსტიტუციურობის დადგენისათვის საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის (შრომის უფლება) პირველ და მე-4 პუნქტთან მიმართებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოში იხილებოდა დავა მოსარჩელე კლინიკა „მედისა“ და მოპასუხე დარსველიძეს შორის. მოპასუხე დასაქმებული იყო კლინიკა „მედიში“ დერმატოლოგის თანამდებობაზე. დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის გაფორმდა შრომითი კონტრაქტი. კონტრაქტში დამსაქმებელმა ჩადო შრომის კოდექსის 46-ე მუხლს მესამე ნაწილის მოთხოვნა, რაც გულისხმობს შრომითი საქმიანობის აკრძალვას 3 წლის განმავლობაში კონკურენტ ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში, რომლებიც მსგავს საქმიანობას ახორციელებდნენ. საქმის განმხილველმა მოსამართლემ, ნორმის კონსტიტუციურობის დადგენის მიზნით, მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლო იმსჯელებდა მითითებული ნორმის კონსტიტუციურობაზე, მოსარჩელემ სარჩელი გამოიხმო, რამაც გამოიწვია ასევე წარდგინების გამოხმობა საქალაქო სასამართლოს მიერ. ზემოთაღნიშნული განჩინებებითა და მსჯელობაში გამოყენებული ფაქტების მიხედვით ირკვევა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს მწირი პრაქტიკა კონსტიტუციურ წარდგინებებთან დაკავშირებით. სასამართლოს აქვს პრეცედენტი წარდგინების გამოთხოვისაც, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. სტატისტიკის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსებიდან დღემდე, განხილული აქვს 7 კონსტიტუციური წარდგინება. ამ შვიდიდან, სამწუხაროდ, დასკვნა არცერთ წარდგინებაზე არ მომზადებულა. ეს კი, საერთო სასამართლების მოსამართლეებს, ინტერესსა და მოტივაციას უკარგავს მოამზადონ კონსტიტუციური წარდგინება საქმის განხილვის დროს აღმოჩენილი, მათი შეხედულებით არაკონსტიტუციური ნორმის თაობაზე. მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ქვეყანაში კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ერთადერთი ორგანო, კარგი მექანიზმია კანონმდებლობიდან ხარვეზების აღმოფხვრისა და საბოლოო ჯამში, კანონმდებლობის სრულყოფისა.

ბ) საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის წესი

საქართველოს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონისა და ორგანული კანონის „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, შესაბამისად განსაზღვრულია საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის წესი.¹⁰ კანონმდებლობის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- კონსტიტუციური შეთანხმების;
- საქართველოს კანონების;
- საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების;
- საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული

აქტების;

- საქართველოს საკანონმდებლო აქტების;
- საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის დასადგენად;
- საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის

დადგენილებების მიღება/გამოცემის, ხელმოწერისა, გამოქვეყნებისა და ამოქმედების, საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით;

- სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის ფარგლების თაობაზე;
- მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის დადგენის თაობაზე;
- რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ – რეფერენდუმის დანიშვნის, არდანიშვნისა და გამართვის კონსტიტუციურობის თაობაზე;
- არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ – არჩევნების დანიშვნის, არდანიშვნისა და გამართვის კონსტიტუციურობის თაობაზე;
- მოქმედ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა ან მათი ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ.

• საკონსტიტუციო სასამართლოში, კონსტიტუციური სარჩელი შეიტანება ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე.

• კონსტიტუციური სარჩელი შეიტანება საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შესახებ.

10. საქართველოს „კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ და საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“;“- 1996წ.

სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის შემთხვევების უკეთ წარმოჩენისა და გაანალიზებისათვის, აღნიშნული ჩამონათვალიდან, განვიხილოთ თითოეული შემთხვევა ცალ-ცალკე მაგალითებითურთ:

- საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ფიზიკური და იურიდიული პირები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ სარჩელით ამა თუ იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. ამგვარი ტიპის სარჩელები, მრავლად არის შესული საკონსტიტუციო სასამართლოში. მაგალითისთვის განვიხილოთ მოსარჩელე გრ. კარგინის კონსტიტუციური სარჩელი, რომელზეც სასამართლომ იმსჯელა 2004 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ დაერღვა კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებული საკუთრების უფლება. კერძოდ, კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნული იყო, რომ მოსარჩელის მეუღლე, ანა კარგინა იყო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივ „ორბის“ წევრი და 1991 წლიდან ახორციელებდა შენატანებს დადგენილი წესითა და პერიოდულობით. სარჩელის შეტანის მომენტისთვის, ანა კარგინა გარდაცვლილი იყო და მოსარჩელე გრიგოლ კარგინი წარმოადგენდა მის კანონიერ მემკვიდრეს აღნიშნულ კოოპერატივში განხორციელებულ შენატანებზე. კონსტიტუციური სარჩელის შეტანა გამოიწვია იმან, რომ იმ მომენტისათვის არც სახლის მშენებლობა იყო დამთავრებული და არც გადახდილი შენატანები დაბრუნებია მოსარჩელეს უკან.

კონსტიტუციური სარჩელის შესაბამისად, დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის ბრძანებულება და ამ ბრძანებულებით დამტკიცებული „ზოგიერთი სახის საშინაო ვალის დაფარვის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის დებულება“ იმ ნაწილებში, რომელიც ეხებოდა ვალის გადახდის წესს. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა ფინანსთა სამინისტროს უფლებას აძლევდა თავისი შეხედულებისამებრ გამოეცა ნორმატიული აქტები, რაც არაკონსტიტუციური იყო, ვინაიდან სწორედ ეს დაედო საფუძვლად ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით დამტკიცებულ ვალის დაფარვის წესს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 21-ე მუხლს (საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება).

სარჩელის არსებითი განხილვის შემდეგ, გამოირკვა რომ კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში შეიქმნა სერიოზული პრობლემები, რასაც შემდეგ მოჰყვა მათი სრული გაჩერება. უამრავი ბინათმშენებელი აღმოჩნდა სამართლებრივი დაცვის გარეშე. სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, როგორც იურიდიული პირები, გაუქმდა და მათ უფლებამონაცვლებად მიჩნეული იქნა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები. შეცვლილმა გარემოებებმა, სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელი გახადა გარკვეული სამართლებრივი ღონისძიებების გატარება, რათა ეტაპობრივად მომხდარიყო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა ქონებრივი უფლებების დაცვა. კერძოდ, კოოპერატივის დაზარალებულ წევრებს, სახელმწიფოსგან უნდა მიეღოთ ადექვატური ანაზღაურება, ვინაიდან სახელმწიფოს მხრიდან შეიქმნა სპეციალური

დებულება ზოგიერთი სახის საშინაო ვალის დაფარვის ხელშეწყობის შესახებ. ამით, სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, დაიცვას ამ ადამიანების საკუთრების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციური სარჩელი და მიიჩნია, რომ სახელმწიფოს სადავო ნორმებით არ გაუუქმებია, არ შეუზღუდავს და არ ჩამოურთმევია კოლპერატიული ბინათმშენებლებისთვის საკუთრების უფლება. რომ სადავო აქტში არ იყო გამოკვეთილი სახელმწიფოს უარყოფითი ინტერესი, პირიქით, სახელმწიფოს მხრიდან, აღიარებული იყო არსებული სახელმწიფო ვალი და შექმნილი იყო გასაზღვრული მექანიზმები მის დასაფარავად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა და მივიდა დასკვნამდე, რომ სადავო ნორმას არ დაურღვევია მოსარჩელის უფლება, რის გამოც სასამართლომ სადავო აქტი არ ცნო არაკონსტიტუციურად.

- კონსტიტუციური სარჩელის შეტანა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის ფარგლების თაობაზე: აღნიშნულ საკითხზე, კონსტიტუციური სარჩელი შეიტანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე სახელმწიფო ორგანო თვლის, რომ სხვა სახელმწიფო ორგანოს (მოპასუხე) ნორმატიული აქტით დაირღვა მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები, ან მოხდა მოსარჩელე სახელმწიფო ორგანოს ფუნქციის სხვაგვარი ხელყოფა;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 1999 წლის 9 ნოემბრის განჩინებით, იმსჯელა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის ფარგლების დადგენის თაობაზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფმა, დეპუტატებმა კონსტიტუციური სარჩელი შეიტანეს საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

მოსარჩელე მხარეს მიაჩნდა, რომ სადავო აქტებით, არსებითად დარღვეული იყო საქართველოს პარლამენტისთვის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენცია. მოსარჩელეთა აზრით, სამართლებრივი აქტები ცალკეულ მხარეებში, სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობის შემოღებისა და შესაბამისი დებულებების დამტკიცების შესახებ, აგრეთვე თვით დებულებები შეიცავდნენ მთელ რიგ ნორმებს, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიოდნენ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტთან (სადავო აქტი ეხება საქართველოს ტერიტორიული მოწყობის წესს).

სადავო აქტების საფუძველზე, ახალი ტიპის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მათი მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნით, საჭირო გახდა სასამართლოს მიერ უფლებამოსილებათა გამიჯვნა. მოსარჩელეთა განცხადებით, აღნიშნული სამართლებრივი აქტები ითვალისწინებდნენ რა სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობის შემოღებას, იმავდროულად, ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, განსაზღვრავდნენ მისი უფლებამოსილების განვრცობადობის ფარგლებს. ის რაიონები, რომლებზეც ვრცელდებოდა სახელმწიფო რწმუნებულის უფლებამოსილება, გაერთიანებული იყო უფრო მსხვილი ტერი-

ტორიული ერთეულის – მხარის ფარგლებში. მხარეს კი ჰქონდა მკაცრად განსაზღვრული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრები, თავისი ადმინისტრაციული ცენტრი და სახელმწიფო-მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი სახელმწიფო მართვის სტრუქტურები სახელმწიფო რწმუნებულისა და მისი ადმინისტრაციის სახით. ყოველივე ეს, მოსარჩელეთა აზრით, იძლეოდა „იმ სამართლებრივი ნიშნების ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნისთვის – მკაცრად განსაზღვრული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების მქონე ტერიტორია, რომელსაც გააჩნია სახელმწიფო-მმართველობითი უფლებამოსილებით, მათ შორის მხარის ტერიტორიაზე შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლებით აღჭურვილი მართვის ორგანოები, რომელთა ორგანიზაციული სტრუქტურა, კომპეტენცია და საქმიანობის წესი, ტერიტორიულ პრინციპზეა აგებული“.¹¹

სარჩელის ავტორები თვლიდნენ, რომ დაირღვა საქართველოს პარლამენტის კომპეტენცია და ითხოვდნენ სადავო აქტების გაუქმებას.

სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ კონსტიტუციურ სარჩელში, ნაწილობრივ დარღვეული იყო „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ”ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, სახელდობრ, მითითებული არ იყო ”საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც უფლებას აძლევს მოსარჩელებს უშუალოდ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. ასევე, დაცული არ იყო ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ”ა“ ქვეპუნქტის კატეგორიული მოთხოვნა – კონსტიტუციურ სარჩელს თან არ ერთვოდა მოსარჩელეთა წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი. ამასთან, სარჩელში ცალკეული (კერძოდ, მე-4, მე-5, მე-6, მე-8 და 24-ე ნომრებით აღნიშნული) სადავო აქტების დასახელებაში დაშვებული იყო შეცდომები. მაგალითად: მე-4 აქტში „სახელმწიფოს მეთაურის წარმომადგენლის“ ნაცვლად, მითითებული იყო „სახელმწიფოს წარმომადგენელი“, ხოლო მე-5-ში – „აპარატის დროებითი სტრუქტურის“ ნაცვლად, – „აპარატის მუშაკთა დროებითი სტრუქტურა“.

სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ დავის განხილვის დროს, სადავო ნორმატიული აქტები გამოცხადდა ძალადაკარგულად, რამაც საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონის მე-13-ე მუხლის შესაბამისად, საქმის შეწყვეტა გამოიწვია. ყოველივე აქიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს დაეებს სახელმწიფო ორგანოთა შორის კომპეტენციის განსაზღვრის თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს კონსტიტუციურ კონტროლს სახელმწიფო ორგანოთა შორის საქმიანობის განხორციელებისას, არ მოხდეს მათი ფუნქციების აღრევა, რაც თავისთავად გაართულებს კომპეტენციების ფარგლების დადგენას მათ შორის.

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო-1999 წლის 9 ნოემბრის განჩინება №1/7/87

- საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მსჯელობს საერთაშორისო ხელშეკრულების არაკონსტიტუციურობის დადგენის თაობაზე. მითითებულ საკითხზე, სასამართლოში შედის კონსტიტუციური სარჩელი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2004 წლის 16 ნოემბერის გადაწყვეტილებით, საქმეზე – „საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, იმსჯელა სწორედ ზემოაღნიშნული კატეგორიის დავაზე. მოსარჩელე კონსტიტუციური სარჩელით ითხოვდა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის“ პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-2 და მე-8 პუნქტების კონსტიტუციურობის შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა), 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან (საკუთრების უფლება), 39-ე მუხლთან (საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვა კონსტიტუციით) და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (სასამართლოსადმი მიმართვის უფლება) მიმართებით.

მოსარჩელე იყო აფხაზეთიდან დევნილი. ის აფხაზეთში მომხდარი ცნობილი მოვლენების შემდეგ, იძულებული გახდა, დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი. მოქმედი კანონმდებლობით, მას მიენიჭა დევნილის სტატუსი. მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის“ პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-2 და მე-8 პუნქტებით, დაირღვა მისი უფლებები. გარდა ამისა, სარჩელის ავტორს მიაჩნდა, რომ ზემოაღნიშნული სადავო ნორმა, წინააღმდეგობაში მოდიოდა კონსტიტუციასთან, რომ სადავო ნორმების თანხმად, ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მოქმედება დევნილებზე არ ვრცელდება. ამის გამო, სამართლებრივად დაუცველი დარჩა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას არსებული მათი საკუთრება. სახელმწიფომ ამ საკუთრების დაცვის პასუხისმგებლობა იკისრა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და შესაბამისად, აფხაზეთზე გავრცელდება ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია. თუ სადავო დადგენილების მე-2 პუნქტით დევნილების კონსტიტუციური უფლებები ილახება პირთა წრის მიხედვით, მე-8 პუნქტი ითვალისწინებს კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვას ტერიტორიული ნიშნით. მოსარჩელის მტკიცებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არასწორად მიიჩნედა ევროპული კონვენციის მიმართ ტერიტორიული დათქმის იმ სახით გაკეთებას, როგორც ეს პარლამენტის დადგენილების მე-8 პუნქტში იყო მოცემული. მოსარჩელემ ამის ერთ-ერთ მტკიცებულებად მიუთითა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“. სასამართლომ, მოლდოვას მიერ დნესტრისპირეთის მიმართ გაკეთებული ტერიტორიული დათქმა, კონვენციასთან შეუსაბამოდ ჩათვალა.

აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილების სადავო გამხდარი პუნქტები, დისკრიმინაციული ხასიათის იყო, რითაც ირღვევოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 21-ე მუხლები. მე-14 მუხლის დარღვევის საფუძველს წარმოადგენდა დისკრიმინაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში არ არსებობდა დათქმა იმის თაობაზე, რომ მასში მითითებული უფლებები და თავისუფლებები არ ვრცელდებოდა საქართველოს რომელიმე ტერიტორიაზე. მოსარჩელე ასევე აღნიშნავდა, რომ ასეთი შეზღუდვა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლს და 42-ე მუხლის პირველ პუნქტს. რატიფიკაციის ფაქტიდან გამომდინარე, საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს, კონსტიტუციის 39-ე და 42-ე მუხლებზე დაყრდნობითა და ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე, საკუთრების უფლების დარღვევის საკითხზე, სტრასბურგის სასამართლოსადმი განაცხადით მიმართვის უფლება აქვს. კონსტიტუციის 42-ე მუხლში იგულისხმება როგორც საქართველოს სასამართლოსადმი, ასევე ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. სადავო დებულებით კი დევნილის სტატუსის მქონე პირებს, ეს უფლება დისკრიმინაციულად ჰქონდათ შეზღუდული. მოსარჩელე მოითხოვდა სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას და ძალადაკარგულად გამოცხადებას. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ სადავო ნორმების კონსტიტუციურობა, უნდა შეფასებულიყო მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მხოლოდ მე-14 მუხლთან და 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებისას, სასამართლოს კოლეგიის წევრთა შორის გამოვლინდა აზრთა სხვადასხვაობა. სასამართლო კოლეგიის შემადგენლობის ერთი ნაწილის აზრით, სადავო ნორმები წინააღმდეგობაში მოდიოდნენ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლისა და 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებთან.

სასამართლომ აღნიშნა: „ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების მიმართ დათქმების გაკეთება უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის 57-ე მუხლს, რომელშიც ნათქვამია: „ნებისმიერ სახელმწიფოს, კონვენციაზე ხელის მოწერის ან სარატიფიკაციო სივრცის დეპონირების დროს, შეუძლია გააკეთოს დათქმა კონვენციის რომელიმე ცალკეული დებულების მიმართ იმ ფარგლებში, რომლებშიც მის ტერიტორიაზე ძალაში მყოფი რომელიმე კანონი არ შეესაბამება ამ დებულებას. დაუშვებელია საერთო ხასიათის დათქმების გაკეთება ამ მუხლის მიხედვით“; „ამ მუხლის მიხედვით გაკეთებული ნებისმიერი დათქმა უნდა შეიცავდეს შესაბამისი კანონის მოკლებიმიზილვას“. აქედან გამომდინარე, დათქმა უნდა აკმაყოფილებდეს სამ პირობას:

ა) დათქმა შეიძლება გაკეთდეს, თუ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ძალაში მყოფი კანონი არ შეესაბამება კონვენციის შესაბამის დებულებას;

ბ) დათქმა არ უნდა იყოს საერთო (ზოგადი) ხასიათის;

გ) დათქმა უნდა შეიცავდეს მოკლე განცხადებას სათანადო კანონის შესახებ.

გასაჩივრებელი ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 21-ე მუხლის იმ ფუძემდებლურ დებულებებს რომ „საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“. ამით ირღვევა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისი დებულებაც, რომელიც ამბობს: „ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება, დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით“. ამ პრინციპულ დებულებაში გამოხატულია საკუთრების უფლებისადმი, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებისადმი პატივისცემა, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლის დონეზე.

საქართველოს კონსტიტუციის დასახელებული ნორმა, საკუთრების უფლების სერიოზულ გარანტიას წარმოადგენს. იგი იცავს მესაკუთრეს სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ უარყოფითი ჩარევებისაგან (როგორცაა მისი გაუქმება, უსაფუძვლო შეზღუდვა ან ჩამორთმევა), არამედ სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, განახორციელოს აქტიური პოზიტიური მოქმედებანი საკუთრების უფლების შინაარსის რეალური გამოვლინებისათვის. საკუთრების უფლების უზრუნველყოფა, ასევე გულისხმობს მის დასაცავად ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების შექმნას. საკუთრების აღიარებას აზრი დაეკარგებოდა და უშინაარსო გახდებოდა, თუკი სახელმწიფო არ მოახდენდა მის უზრუნველყოფას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო მართალია აღიარებს საკუთრების უფლებას, მაგრამ დროებით უარს ამბობს მის გარანტიაზე. საკუთრების გარანტიაზე უარის თქმით, ფაქტობრივად, სახელმწიფო (მართალია გარკვეული ვადით), დევნილებს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოქმედების მიღმა ტოვებს. უზრუნველყოფასა და დაცვას მოკლებული საკუთრება, ვარდება კონსტიტუციურ-სამართლებრივი სივრციდან. ეს კი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზანდასახულობას.”¹²

სასამართლო კოლეგიის წევრთა მეორე ნაწილმა ჩათვალა, რომ სადავო ნორმები არ უნდა მიჩნეულიყო არაკონსტიტუციურად საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულ აზრთა სხვადასხვაობიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღებისას, სათათბირო ოთახში, კენჭისყრის დროს, სასამართლო კოლეგიის წევრთა ხმები თანაბრად გაიყო.

საქართველოს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად: „თუ კონსტიტუციურ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისას პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმები თანაბრად გაიყო, კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდება“.

აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოქალაქე ანზორ თევზაიას კონსტიტუციური სარჩელი.

12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო; გადაწყვეტილება 2004 წლის 16 ნოემბერის №1/5/224 საქმეზე – „საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

განხილული გადაწყვეტილება, ასევე არსებული პრაქტიკის ანალიზი, ცხადყოფს იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე. ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუციის მე-ნ მუხლის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობა შესაბამეა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, საერთაშორისო ხელშეკრულებასა და კონსტიტუციურ შეთანხმებას. თუ იგი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რაც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საქართველოს კონსტიტუციასთან და ამის მაკონტროლებელი მექანიზმი, სწორედ რომ საკონსტიტუციო სასამართლოა, რომელიც არის კონსტიტუციური კონტროლის ერთადერთი ორგანო ქვეყანაში.

- საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს ასევე, ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე. ამ შემთხვევაშიც, სასამართლოში მოსარჩელეს შეაქვს კონსტიტუციური სარჩელი:

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი გვაჩვენებს, რომ განხილული საკონსტიტუციო სარჩელების უმეტესობა, სწორედ ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს ეხება. ამ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ და საქართველოს იურიდიულ პირებს, უფლება აქვთ, კონსტიტუციური სარჩელით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ მიიჩნევენ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული მათი უფლებები და თავისუფლებანი. (აღნიშნული საკითხი განხილულია ანგარიშის ერთ-ერთ თავში, რომელშიც განხილულია კონსტიტუციის II თავთან მიმართებით მიღებულ გადაწყვეტილებები).

- საკმაოდ საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით:

ამ მიმართულებით, სასამართლოს არცთუ დიდი პრაქტიკა გააჩნია, თუმცა შესაძლებელია საინტერესო მაგალითის განხილვა: სასამართლომ, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2003 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით, იმსჯელა საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.

2006 წლის 13 აპრილს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საკონსტიტუციო სარჩელით მიმართა პარლამენტის წევრმა, ვალერი გელაშვილმა. კონსტიტუციური სარჩელით, მოსარჩელე ითხოვდა „ვალერი გელაშვილის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის

თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 31 მარტის დადგენილების არაკონსტიტუციურად ცნობას, საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან მიმართებით. კონსტიტუციის ეს მუხლები ადგენენ გარკვეულ შეზღუდვას პარლამენტის წევრის საქმიანობასთან დაკავშირებით და უშვებს წევრის უფლებამოსილების ვადაძლე არღვე შეწყვეტასაც.

კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, მოსარჩელე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წევრი იყო და სადავო დადგენილებით, მას ვადაძლე შეუწყდა სადეპუტატო უფლებამოსილება, ვინაიდან იგი ასრულებდა პარლამენტის წევრისთვის შეუსაბამო სამეწარმეო საქმიანობას.

მოსარჩელის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სადავო დადგენილება უნდა გამოცხადებულიყო ძალადაკარგულად და საქართველოს პარლამენტის წევრის ვ. გელაშვილისთვის უფლებამოსილება უნდა აღედგინათ.

სასამართლო კოლეგიამ განიხილა სარჩელი და აღნიშნა, რომ თუ გაიზიარებდა მოსარჩელის განცხადებას, რომ იგი არ მოქმედებდა შპს „ევრას“ სახელით, მაშინ არალოგიკური სინამდვილის სურათი ყალიბდებოდა. პარლამენტის წევრი, სერიოზული განაშენიანების გეგმაზე ესაუბრებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, სთავაზობდა ავლაბრის ტერიტორიის იერსახის გაუმჯობესებას და ამ განაშენიანების გეგმით სარგებლობას. კერძოდ, ავარიული 84-ე საშუალო სკოლის შენობის ნაცვლად, ახლის აშენებას. მაგრამ არ განმარტავს, რა გზით შეიძლებოდა განხორციელებულიყო აღნიშნული ჩანაფიქრი. მითუმეტეს, რომ ვ. გელაშვილი, თავის ახსნა-განმარტებაში აღნიშნავდა: „ბატონმა ლომიამ ბრძანა, რომ ქალაქის ბევრი სკოლის შენობა მართლაც ავარიულ მდგომარეობაშია და იგი ზოგადად მოხარული იქნებოდა, თუ ვინმე სამინისტროს დახმარების ხელს გაუწვდიდა.“ სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ „ავლაბრის ფონდი“ არაკომერციული დაწესებულება იყო და მას რომ განეხორციელებინა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, საამისოდ საჭირო იყო სასურველი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს შექმნა.

სასამართლო კოლეგია დაეთანხმა მოსარჩელის წარმომადგენლებს იმაში, რომ არცერთი იმ პირთაგან, ვისაც ვ. გელაშვილი შეხვდა, არ იყო უფლებამოსილი, გამოსულიყო მხარედ სკოლის ტერიტორიის შპს „ევრასთვის“ გადაცემისა და სკოლის ძველი შენობის ნაცვლად, ახლის მშენებლობის კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაში. თუმცა, ამ საკითხზე მათთან შეხვედრები, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, მოთავსდა საქმიანი მოლაპარაკების ფარგლებში, ვინაიდან ემსახურებოდა აღნიშნული ურთიერთობის დამყარებას. საქმე ეხებოდა საგანმანათლებლო დაწესებულების - სკოლის არსებული შენობის აღებას და მის ნაცვლად, ახლის მშენებლობას. ბუნებრივია, ამასთან დაკავშირებით, კონკრეტული კერძო-სამართლებრივი მოქმედებების განხორციელება

ვერ მოხდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აზრის გათვალისწინების გარეშე. აქიდან, სასამართლოსთვის უკვე ნათელი გახდა მოსარჩელის მოქმედებათა ლოგიკურობა. ჯერ იგი მივიდა 84-ე საშუალო სკოლის პედაგოგებთან და გაიგო მათი აზრი, შემდეგ შეხვდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ამის შემდეგ კი შპს „ევერამ“, მინისტრ ა. ლომიას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, წერილით მიმართა 84-ე საშუალო სკოლის ახალი შენობის მშენებლობასთან და მისი ტერიტორიის გადმოცემასთან დაკავშირებით. ამის მიხედვით კი, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელემაც კარგად იცოდა, თუ რა უფლებამოსილების ფარგლებში შეიძლებოდა ემოქმედათ იმ ადამიანებს, ვისთანაც მან აწარმოა მოლაპარაკებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ვ. გელაშვილის მოქმედება, კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა იმის მიუხედავად, მას შედეგად მოჰყვა თუ არა კონკრეტული კერძო-სამართლებრივი გარიგების დადება. მხედველობაში მიიღო მოსარჩელის წარმომადგენლის განცხადება, რომ თუკი იქნებოდა ვ. გელაშვილის მხრიდან კონკრეტული ბიზნესწინადადება, მაშინ მას აუცილებლად უნდა შეწყვეტოდა დეპუტატის უფლებამოსილება. გარემოებამ ისიც დაადასტურა, რომ მოსარჩელის მოქმედების ბუნების განმსაზღვრელი ვერ იქნებოდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის უფლებამოსილება.¹³

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა პარლამენტის წევრის ვალერი გელაშვილის კონსტიტუციური სარჩელი და უარი უთხრა მას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა და თავისი ხედვის ჩამოყალიბება, მეტად საყურადღებოა, ვინაიდან მსგავსი კატეგორიის სარჩელები, სასამართლოში საერთოდ არ შედის განსახილველად. საქართველოს კონსტიტუციის 53-ე და 54-ე მუხლები კი პარლამენტის წევრებს ანიჭებთ შესაძლებლობას, იდავონ საკონსტიტუციო სასამართლოში, თუ თვლიან რომ პარლამენტის გადაწყვეტილება – სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის თაობაზე, არაკონსტიტუციურია და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 53-ე და 54-ე მუხლებს. იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საკმაოდ ვრცელი და მრავლისმომცველია, რთულია მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი და დეტალი სრულად ასახო. ამიტომ, წინამდებარე თავში შევეცადეთ, მოკლედ მიმოგვეხილა ის შემთხვევები, როცა საკონსტიტუციო სასამართლოში, საქმის განხილვის საფუძველი კონსტიტუციური სარჩელია.

13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო; - „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2003 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება №378

სასამართლოში საქმის განხილვის პროცედურა, გადები

საქართველოს კანონის „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ მე-17 მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელსა და კონსტიტუციურ წარდგინებას, საქმის მასალების ფორმალური მხარის შემოწმების შემდეგ, რეგისტრაციაში ატარებს სასამართლოს უფლებამოსილი პირი, რის შემდეგაც, საქმე სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, განსახილველად გადაეცემა კონკრეტულ კოლეგიას.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრულია საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი საქმეები, ხოლო ამავე კანონის 21-ე მუხლით გამოიწვეულია საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიის განსჯადი საქმეები. კანონმდებლის მიერ, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი საქმეების დეტალური რეგლამენტაციის შედეგად, ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის, მისი როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა და მისი გამოჯვანა საერთო სასამართლოების ერთიანი სისტემიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ხდება ზეპირად, ხოლო საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი (გამწესრიგებელი სხდომა), შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში, 2006 წლის 29 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით, ნათელი ხდება, რომ კანონმდებელმა შემოიტანა ნოვაცია საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის ინსტიტუტის სახით. ამასთანავე, კანონმდებელი აყალიბებს კონკრეტულ მოთხოვნას, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი იქნება, სარჩელ/წარდგინება განიხილოს ზეპირი მოსმენის გამართვის გარეშე. აღნიშნული ცვლილება, წინააღმდეგობაში არ მოდის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრეცედენტულ სამართალთან. საქართველოს კანონის „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ მე-17 მუხლის მიხედვით, კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღება, ფორმდება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის ან კოლეგიის საოქმო ჩანაწერით, ხოლო არსებითად განსახილველად უარის თქმისას, პლენუმს/კოლეგიას გამოაქვს დასაბუთებული განჩინება.

კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ:

- იგი ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

- იგი შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს მიერ (სუბიექტის);

- დავის საგანი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი;

- სადავო საკითხი გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

- სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით;

- თუ არასაპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა.

- სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.

კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღების საკითხი უკეთესად რომ გავიაზროთ, განვიხილოთ თითოეული შემთხვევა, ცალ-ცალკე მაგალითების გამოყენებით:

- კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ იგი ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთი განჩინება აქვს გამოტანილი კონსტიტუციური სარჩელის წარმოებაში არ მიღების თაობაზე, სწორედ იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციური სარჩელი არ აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, კონსტიტუციური სარჩელი, ფორმით ან შინაარსით, არ შეესაბამებოდა ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2008 წლის 5 ნოემბრის განჩინებით, მოსარჩელე დავით ნატროშვილს სწორედ ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე უთხრა უარი კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღებაზე.

მოსარჩელე კონსტიტუციური სარჩელით ითხოვდა, „იიცენიზებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებაში.

კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2007 წლის 30 ნოემბრის განჩინებით, მოსარჩელე ცნობილი იქნა დამნაშავედ.

დავით ნატროშვილი დანიშნულ სასჯელს იხდიდა ქ. რუსთავის მე-2 საპყრობილეში, სამკურნალო დაწესებულებაში. პატიმარს ჩაუტარდა ალტერნატიული ექსპერტიზა და ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, დაუდგინდა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა.

პატიმარ დავით ნატროშვილს, ხელმეორე ექსპერტიზის ჩატარების საფუძველზე, დაუდგინდა არაფსიქოზური დონის ფსიქიკური აშლილობა, დეკომპენსაციებისადმი მიდრეკილება. ამასთან ერთად, პატიმარი დაავადებული იყო „C“ ჰეპატიტით და ტუბერკულოზით. რუსთავის №2 დაწესებულების სამკურნალო ნაწილი, სადაც მსჯავრდებული იმყოფებოდა, არალიცენზირებული სამკურნალო დაწესებულება იყო, სადაც საერთოდ არ არსებობდა ფსიქიატრიული განყოფილება და შესაბამისად, არ ჰყავდათ ფსიქიატრი. აქედან გამომდინარე, პატიმარი არ იყო უზრუნველყოფილი ჯანმრთელობის მდგომარეობის ადექვატური მკურნალობით.

საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამავე კანონით განსაზღვრულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე, თუ მას ახორციელებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგეობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნული იყო, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, კერძოდ სიტყვები „არ ვრცელდება“ ეწინააღმდეგებოდა სართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილს, სადაც ცალსახადაა გაწერილი, რომ სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას. კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაში კი მოსარჩელე თვლიდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ ხდებოდა ქ. რუსთავის №2 საპრობილის სამკურნალო დაწესებულების გაკონტროლება. სწორედ ზემოხსენებული არაკონსტიტუციური ნორმის არსებობის გამო და საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტი არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ, აღნიშნულ საქმეზე, აღნიშნა რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციურ სარჩელში უნდა ყოფილიყო „მტკიცებულებანი, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, ადასტურებდნენ კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობას.“ ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებანი და კონსტიტუციური სარჩელი არ პასუხობდა „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს (კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს), არ მიიღო მოსარჩელე დ. ნატროშვილის კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად.

მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული პოზიციისა, საკონსტიტუციო სარჩელის ავტორების აზრით, დ. ნატროშვილის კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველად უნდა მიეღო, რადგან მოსარჩელეს ყველანაირი მტკიცებულება ჰქონდა წარდგენილი საკონსტიტუციო სასამართლოში, რომლითაც პირდაპირ იკვეთებოდა კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობა. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს, პრაქტიკაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაერთხელ გამოუყენებია „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი კონსტიტუციური სარჩელის წარმოებაში მიუღებლობის საფუძველად.

- კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ იგი შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს მიერ (სუბიექტის);

საკონსტიტუციო სასამართლოს ბევრი განჩინება არსებობს საკონსტიტუციო სარჩელის დაუშვებლად ცნობის თაობაზე, სწორედ იმ საფუძველით, რომ საკონსტიტუციო სარჩელი უფლებამოსილი პირის ან ორგანოს მიერ (სუბიექტის) არ იყო შეტანილი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმეზე „სამართალდარღვევათა შემსწავლელი ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2006 წლის 29 მარტის №369 განჩინებით, არ მიიღო წარმოებაში კონსტიტუციური სარჩელი, ვინაიდან საკონსტიტუციო სარჩელი არ იყო შეტანილი უფლებამოსილი სუბიექტის მიერ.¹⁴

სამართალდარღვევათა შემსწავლელი ასოციაცია მოითხოვდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.2 და 53.3 მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით.

მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 532-ე მუხლით, რომლითაც განსაზღვრული იყო სავალდებულო სატენდერო შემოთავაზება და მუხლი 53.3-ით, რომელიც ეხებოდა აქციათა სავალდებულო მიყიდვას, ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს, რომლითაც საკუთრება უზრუნველყოფილია.

მოსარჩელის განმარტებით, არ შეიძლება, კანონი აქციების მფლობელს ავალდებულებდეს, მისი ნების საწინააღმდეგოდ, აქციების საკუთრებაში ქონაზე უარის თქმას და არ შეიძლება, კანონმა სავალდებულო გაყიდვის წესი შემოიღოს, თუ მესაკუთრე არ არის თანახმა აქციების გასხვისებაზე.

14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, „სამართალდარღვევათა შემსწავლელი ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2006 წლის 29 მარტის №369 განჩინება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეჯი, კონსტიტუციური სარჩელისა და თანდართული მასალების, განმწესრიგებელ სხდომაზე მოწვეული მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებითა გაახილიაზების საფუძველზე, გამოთარკვია კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებათან დაკავშირებული ვარაუდობანი. კოლეჯიამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა ვერ დაასაბუთა, როგორ არღვევს ან შესაძლებელია, შიშვალში დაარღვიოს სადავო ნორმამ ასოციაციას კონსტიტუციით ადარებულა უფლებები და თავისუფლებები, რომელაც მასივე წესდების თანახმად, წარმომადგენლად არასამეწარმეო იურიდიულ პირს და არაფართარი შესება არ ჰქონდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო მუხლებთან, რომელც სააქციო საზოგადოებაში აქციათა სავაღდებულა მიყიდვის წესს განსაზღვრავენ.

სასამართლომ აღნიშნა ის გარემოება, რომ „მართალია ასოციაცია სამართალდარღვევათა შესწავლასა და კანონების სრულყოფაში წვლილის შეტანას ისახავს მიზნად, მაგრამ ეს არ ცვლის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა მტკიცედ დადგენილ წრეს. ამ კანონის 39-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, სხვა პირთა ინტერესების დასაცავად, კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლება, მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველს ეძლევა“.

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ, არსებითად განსახილველად არ მიიღო საკონსტიტუციო სარჩელი, რადგან სარჩელი შეტანილი იყო არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ. ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ, სრულიად საფუძვლიანად უთხრა უარი მოსარჩელეს კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღებაზე, რადგან კონსტიტუციით დაცული უშუალოდ მოსარჩელის უფლება, არ იყო დარღვეული და სხვისი კონსტიტუციური უფლებების დასაცავად, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, კანონმდებლობით მოსარჩელეს არ ჰქონდა.

• განსახილველად არ მიიღება კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება, თუ დავის საგანი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ასევე გვაქვს შემთხვევები, როცა კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ იქნა მიღებული, რადგან დავის საგანი არ იყო საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2008 წლის 4 დეკემბრის განჩინებით, წარმოებაში არ მიიღო აკაკი მიქაძის კონსტიტუციური სარჩელი ქალაქ თბილისის საკრებულოს წინააღმდეგ. აღნიშნული განჩინება დასაბუთებული იყო სწორედ იმით, რომ დავის საგანი არ იყო საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი.

მოსარჩელე მოითხოვდა „უფლებრივი ზონირების დამოუკიდებელი სავალდებულო რუქის (ქ. თბილისის ცენტრალური ნაწილის ისტორიული ზონა, განამზენიანების რეგულირების ზონა, ვაკე), დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის

საკრებულოს 2005 წლის 22 ივლისის №16-2 გადაწვეტილების და მის საფუძველზე დამტკიცებული „უფლებრივი დამოუკიდებელი სავალდებულო ზონირების რუქის“, არაკონსტიტუციურად ცნობას, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან მიმართებაში.

ვაკის რაიონში, მარაბდელეების ქუჩის მდებარე ტერიტორიაზე, ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, აკაკი მიქაძეს გამოეყო მიწის ნაკვეთი 502 კვმ ფართის ოდენობით.

ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 22 ივლისის № 16-2 გადაწვეტილებით, დამტკიცდა უფლებრივი ზონირების დამოუკიდებელი სავალდებულო რუკები, რომელზეც აკაკი მიქაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთი შეტანილი იქნა ქ. თბილისის ლანდშაფტის დაცვის ზონაში, სადაც აკრძალულია ნებისმიერი სახის მშენებლობა.

ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 22 ივლისის გადაწვეტილება (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი), რომლის საფუძველზეც დამტკიცებულ უფლებრივი ზონირების დამოუკიდებელ სავალდებულო რუქაში ქ. თბილისის ლანდშაფტის დაცვის ზონას მიეკუთვნა აკაკი მიქაძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, მოსარჩელის აზრით, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებს. მოსარჩელე, კონსტიტუციურ სარჩელში განმარტავდა: „საკუთრება ადამიანის ბუნებით უფლებას წარმოადგენს. საკუთრების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. აღნიშნული მუხლი, სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, – დაიცვას საკუთრების უფლება უკანონო ხელყოფისაგან. საკუთრება არის ქონებრივი მდგომარეობის გარანტია, რომელიც საკუთრების პირად სამართლებრივ მხარეს შეეხება. მართალია, კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს საკუთრების უფლების შეზღუდვას, მაგრამ აქვე ჩამოყალიბებულია აუცილებელი პირობები, რომელთა დაცვითაც უნდა მოხდეს ასეთი შეზღუდვა. სადავო აქტში კი არც ერთი ეს აუცილებელი პირობა არ არის გათვალისწინებული. სადავო აქტი, მოსარჩელის საკუთრების სარგებლობის უფლების შეზღუდვასთან ერთად, ფაქტობრივად უზღუდავს აგრეთვე მისი ფლობისა და განკარგვის უფლებას.“

საკონსტიტუციო სასამართლომ, ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დავის საგანი არ იყო საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი. კერძოდ: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაში არ შედის იმის გარკვევა, თუ რამდენად უნდა გაეთვალისწინებინა ან გაითვალისწინა ქ. თბილისის საკრებულომ სადავო აქტის გამოცემისას ის გარემოება, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული აქტით, მიზნობრივად ჰქონდა გამოყოფილი მიწის ნაკვეთი. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საკითხს აწესრიგებს საქართველოს კანონმდებლობა და არა საქართველოს კონსტიტუცია.

აქედან გამომდინარე, ქ. თბილისის საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის საკითხი ვერ განდება „საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი.“ აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარი უთხრა მოსარჩელეს სწორედ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

აღნიშნულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციური სარჩელის ავტორთა აზრით, არასწორად უთხრა მოსარჩელეს უარი კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღებაზე, რადგან საკრებულოს გადაწყვეტილება, რომლის არაკონსტიტუციურად ცნობასაც ითხოვდა მოსარჩელე, წარმოადგენდა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს და შესაბამისად, აღნიშნული აქტის არაკონსტიტუციურობაზე მსჯელობა, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედიოდა 2005 წლის 22 ივლისის №16-2 გადაწყვეტილებისა და მის საფუძველზე დამტკიცებული „უფლებრივი დამოუკიდებელი საკვლევებლო ზონირების რუკის“, არაკონსტიტუციურად ცნობას, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან მიმართებაში.

• განსახილველად არ მიიღება კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება, თუ სადავო საკითხი გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

საკონსტიტუციო სასამართლოს, მიღებული განჩინებით, არც თუ ხშირად უთქვამს უარი საკონსტიტუციო სარჩელის მიღებაზე სწორედ იმ საფუძველით, რომ აღნიშნული საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე გადაწყვეტილი იყო.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმეზე „ასლან აბაშიძე, გიორგი აბაშიძე, დიანა აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე და მათი აბაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2005 წლის 21 ნოემბრის №1/20/349 განჩინებით, არ მიიღო წარმობებაში საკონსტიტუციო სარჩელი სწორედ იმ საფუძველით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, აღნიშნული საკითხი, ერთხელ უკვე გადაწყვეტილი იყო.¹⁵

2004 წლის 24 აგვისტოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორმა, სარჩელით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს ასლან, გიორგი, დიანა, ირაკლი და მათი აბაშიძეებისთვის ქონების ჩამორთმევის თაობაზე. 2004 წლის 6 სექტემბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც მთლიანად იქნა დაკმაყოფილებული პროკურორის სარჩელი.

15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ასლან აბაშიძე, გიორგი აბაშიძე, დიანა აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე და მათი აბაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2005 წლის 21 ნოემბრის №1/20/349 განჩინება.

მოსარჩელებმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო პალატაში, რომელმაც მათი მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მოსარჩელეთა აზრით, ქონების ჩამორთმევას ჰქონდა არა დროებითი და პრევენციული, არამედ საშუალო და სადამსჯელო ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების ჩამორთმევა ადმინისტრაციული პროცესის შედეგად განხორციელდა, ამ ზომას არსებითად სისხლისსამართლებრივი ხასიათი ჰქონდა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელები თვლიდნენ, რომ მათი კონსტიტუციური უფლებების შელახვა გამოიწვია იმ საკანონმდებლო ნორმებმა, რომლებსაც დაეყრდნო სასამართლო ქონების ჩამორთმევის გადაწყვეტილების მიღებისას. კერძოდ, მოსარჩელებს მიაჩნდათ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა), 21-ე (საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება), მე-40 მუხლებთან (უდანაშაულობის პრეზუმცია) და 42-ე მუხლის მე-5 (კანონის უკუძალა) პუნქტთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად უნდა ცნობილიყო (1) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლი, 41-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტი, (2) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, VII 2 თავის (214 – 2111 მუხლები) და 22-ე მუხლის მე-4 ნაწილი (აღნიშნული მუხლები ეხება ქონების ჩამორთმევის წესს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე). ამასთან, მოსარჩელეთა წარმომადგენელმა, იოსებ ბარათაშვილმა განმეცხვრებულ სხდომაზე განაცხადა, რომ ისინი იცნობდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილებას (2/5/309,310,311), რომელშიც დავის საგანი იყო მათ მიერ შემოტანილი კონსტიტუციური სარჩელის ანალოგიური. მიუხედავად ამისა, მოსარჩელებს მიაჩნდათ, რომ მათი კონსტიტუციური სარჩელი, სულ სხვაგვარად იყო დასაბუთებული და ამიტომ, არსებითად განსაზივველად უნდა მიეღოთ.

სასამართლო კოლეგიამ განჩინებაში აღნიშნა, რომ კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული სადავო საკითხები, უკვე გადაწყვეტილი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, როცა არსებითად იქნა განხილული საქართველოს მოქალაქეების - ლილი თელიას, არჩილ მეფარიძის, გურამ თოხაძის, სერგო გოგიტიძისა და როსტომ ბოლქვაძის კონსტიტუციური სარჩელები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლისა და 41-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი. საქმეზე, საკონსტიტუციო სასამართლოს მე-2 კოლეგიამ, 2005 წლის 13 ივლისს გამოიტანა გადაწყვეტილება (2/5/309,310,311), რომლითაც არ იქნა დაკმაყოფილებული მოსარჩელეთა მოთხოვნები. ამგვარად, 349-ე ნომრით რეგისტრირებულ, კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული სადავო ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი, საკონსტიტუციო სასამართლომ 2005 წლის 13 ივლისს გადაწყვიტა. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კოლეგიამ მიუთითა „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-18

მუხლის „დ“ პუნქტზე, რომლის „სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის „დ“ პუნქტზე, რომლის ძალითაც, კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა კანონიერი საფუძველი კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2005 წლის 17 ნოემბრის №350 განჩინებით „მოქალაქე დავით კიკნაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ასევე არ მიიღო წარმოებაში კონსტიტუციური სარჩელი ზემოთ მითითებული ანალოგიური საფუძველით.

კონსტიტუციური სარჩელით, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონის „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს 2003 წლის 2 ივნისის კანონის „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის არაკონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან მიმართებით.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ ადვოკატებს, რომლებსაც გავლილი არ ჰქონდათ ადვოკატთა ტესტირება, 2003 წლის 1 ივნისიდან, ეკრძალებოდათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში, ხოლო 2004 წლის 1 იანვრიდან – აგრეთვე საოლქო სასამართლოში. მოსარჩელის აზრით, მის კონსტიტუციურ უფლებას ზღუდავდა აგრეთვე საქართველოს 2003 წლის 2 ივნისის კანონის „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 440-ე მუხლი, რომლის თანახმადაც: „პირებს, რომლებსაც გავლილი არა აქვთ ადვოკატთა ტესტირება, 2006 წლის 1 ივნისიდან ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატასა და საოლქო სასამართლოში“. მოსარჩელე თვლიდა, რომ სადავო ნორმის არსებობის პირობებში, საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა, კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის გარეშე დარჩა, რადგანაც საქართველოს ადვოკატთა ერთიან სიაში დაფიქსირებულ და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ასოციაციებში გაწევრიანებულ ადვოკატებს, იურიდიული მომსახურებისთვის, მათთვის მიუწვდომელი ნიშნები ჰქონდათ. სასამართლოს მეორე კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2005 წლის 27 აპრილს, ანალოგიური კონსტიტუციური სარჩელით ადრე უკვე მიმართეს მოქალაქეებმა შურა დოლიძემ, ნორა ფულარიანმა, მერი ბარამიძემ და ნუნუ გვარამაძემ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ, აღნიშნულ კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით, 2005 წლის 24 მაისს, მიიღო 1/11/328 განჩინება, რომლითაც უარი ეთქვა მოსარჩელეებს სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე. სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-9

პუნქტზე, რომლის თანახმად „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიუღებლობა გამოიცხავს იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, განმეორებითი ან სხვა სარჩელის განსახილველად მიღებას.“¹⁶ ასევე, საქართველოს კანონის „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ მე-18 მუხლის „ე“ და „ვ“ პუნქტების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ მე-18 მუხლს, სულ ახლახანს, დაემატა „ზ“ პუნქტი. აღნიშნული ცვლილება, 2009 წლის 22 ოქტომბერს განხორციელდა. განხორციელებული ცვლილების თანახმად, განსახილველად არ მიიღება კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება თუ:

- სადავო კანონმდებლარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა, შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.

ახალ ცვლილებას, სასამართლო პრაქტიკაში ჯერ არ უმუშავია და ზემოაღნიშნული საფუძველით, საკონსტიტუციო სასამართლოს, ჯერჯერობით, არ უთქვამს უარი კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვასა და მიღებაზე. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადებს, უნდა ითქვას, რომ სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა, კანონმდებლობის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში, სარჩელის განხილვის ვადას, მაგრამ არა უმეტეს 2 თვით, აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს, კანონმდებლობით აქვს მინიჭებული ძალიან მნიშვნელოვანი უფლება. კერძოდ, კონსტიტუციური სარჩელის საბოლოო განხილვამდე შეაჩეროს სადავო ნორმის მოქმედება, თუ აღნიშნული ნორმის მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარისათვის მნიშვნელოვანი ზიანი. კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 25-ე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები, მას შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, აღნიშნული მუხლი, ხშირად გამოუყენებია პრაქტიკაში და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეუჩერებია სადავო აქტის მოქმედება.¹⁷

16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო; -2005 წლის 17 ნოემბრის №350 განჩინება „მოქალაქე დავით კიკნაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

17. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 1996წ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (2006 წლის 15 დეკემბრის №397 გადაწყვეტილება), საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, საჭიროდ ჩათვალა, რომ შეეჩერებინა სადავო აქტის მოქმედება, ვინაიდან აქტის მოქმედებას, შესაძლოა, ზიანი მიეყენებინა მოსარჩელებისთვის.¹⁸ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-6, მე-7 ნაწილები და ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები, რომელთა მიხედვითაც, მოსამართლეს საქმის განხილვისას ეძლეოდა უფლება, თავისი განკარგულებით, სასამართლო დარბაზშივე დაეპატიმრებინა პროცესის მონაწილე მხარე 30 დღემდე ვადით წესრიგის დარღვევისთვის ისე, რომ დაპატიმრებულ პირს პირდაპირ ეკრძალებოდა განკარგულების გასაჩივრება, მით უფრო რომ გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე, ადგილზე თათბირით და იმავე მოსამართლის მიერ. მოსარჩელე სწორედ ზემოაღნიშნული არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე იქნა მოსამართლის მიერ დაპატიმრებული სასამართლო დარბაზში, როცა ის ახორციელებდა თავის საადვოკატო საქმიანობას – განსასჯელის დაცვას. აღნიშნული ნორმით, უხეშად ირღვეოდა კონსტიტუციით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება. სადავო ნორმით იყო საშიშროება, რომ მოსარჩელე კიდევ დაზარალებოდა, რადგან იგი ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლომ, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეაჩერა სადავო აქტის მოქმედება.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 26-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს, იმსჯელოს მილიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.

კონსტიტუციური კონტროლის ფარგლებისა და მოცულობის კუთხით, უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი საფუძველია ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც: „ნორმატიული აქტის შემოწმებისას, საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არა მარტო სიტყვა-სიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი ნორმის არსს“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო, თავს არიდებს ამ დებულების გამოყენებასა და დანერგვას.

18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, (2006 წლის 15 დეკემბრის №397 გადაწყვეტილება)

არაერთი გადაწყვეტილება ადასტურებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, 26-ე მუხლს იშვიათ შემთხვევებში იყენებს სრული მოცულობით. კონსტიტუციური კონტროლის ეფექტურობის, პრაქტიკასთან დაახლოებისა და ქმედუნარიანობის გაზრდისათვის, მნიშვნელოვანი იქნება, მომავალში სასამართლომ სრული მოცულობით გამოიყენოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი საშუალება.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და აღსრულება

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 43-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებია განინება, გადაწყვეტილება და დასკვნა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა აქტი საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.¹⁹

საქართველოს კანონის „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ 28-ე მუხლის თანახმად, საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვისა და შესწავლის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლო მოისმენს საქმის განხილვის მონაწილეთა დასკვნით სიტყვას. დასკვნით სიტყვას, პირველ რიგში, ჩამოაყალიბებს მოსარჩელე ან მისი ადვოკატი, ხოლო შემდგომ მოპასუხე მხარე. დასკვნითი სიტყვების მოსმენის შემდგომ, სასამართლო (მოსამართლეები) გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების გამოსატანად.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა ხდება სათათბირო ოთახში. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაზე ან დასკვნაზე ხელმოწერის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე, გადაწყვეტილებას ან დასკვნას აცხადებს სხდომის დარბაზში. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, დასკვნის გამოტანის პრეცედენტი დღემდე არ არსებობს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ან დასკვნა ცხადდება საქართველოს სახელით. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, სხდომაზე გამოაცხადოს გადაწყვეტილების ან დასკვნის როგორც დასაბუთებული, ასევე გადაწყვეტილების ან დასკვნის სარეზოლუციო ნაწილი. ამ შემთხვევაში, მხარეებს მოთხოვნისთანავე გადაეცემა გადაწყვეტილების ან დასკვნის სრული ტექსტი. ამავე კანონის 30-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ან დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული.

გადაწყვეტილებას ან დასკვნას, საკონსტიტუციო სასამართლო საფუძვლად უდებს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც განიხილეს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე ან წარადგინეს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევაში.²⁰

19. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 1996წ.

20. საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“, 1996წ.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას სულ ცოტა ექვსი წევრი ესწრება. კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების თაობაზე დასკვნა მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პლენუმის სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია უფლებამოსილია, განიხილოს კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა სამი წევრი. კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. მხარეს უფლება აქვს, საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დააყენოს საკითხი საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის აცილებაზე, თუ:

- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია;
- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით;
- ან თუ არის სხვა გარემოება, რომელიც ექვს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობაში.

აღნიშნული საფუძვლების არსებობისას, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, უფლება აქვს განერიდოს საქმის განხილვაში მონაწილეობას. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის აცილების ან თვითაცილების შესახებ განცხადება დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის განმხილველი კოლეგიის ან პლენუმის მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს, გადაწყვეტილების მიღებისას, ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რაც დგება წერილობითი ფორმით. განსხვავებული აზრი თან ერთვის საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის ოქმს და ავტორის მოთხოვნით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად, ქვეყნდება პრესაში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, განსხვავებულ აზრთან ერთად, სრული სახით ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს, გაამჟღავნოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამართული თათბირის არსი ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ, კენჭისყრისას დაკავებული პოზიცია. საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის წარმოებისთვის გაწეული ხარჯები, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ანაზღაურდება.

კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სხდომაზე, მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან და 15 დღეში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ, ხელმოწერიდან 15 დღეში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.²¹ აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა და დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს შესაბამისი უწყების მიერ (საკანონმდებლო ორგანო). შესაძლებელია ასევე, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითოს გადაწყვეტილების აღსრულების დრო (თარიღი), რა დროისთვისაც, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება აუცილებლად უნდა მოხდეს.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 25 მუხლის I პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოველი გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებლობის საკითხი, სერიოზულ პრობლემადაა ქცეული და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებლობის გამო, დღემდე არავინ დასჯილა. აღნიშნული ნორმის მიუხედავად, ჩვენს რეალობაში არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ არ აღსრულებულა. ამ კუთხით, ძალიან საინტერესო პრაქტიკა აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს. მაგალითის სახით კი, შესაძლოა ვიმსჯელოთ საქმეზე „სახალხო დამცველი და ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის“ წინააღმდეგ:

მოსარჩელე ქეთევან ბახტაძე იყო მოსამართლე, რომელიც თანამდებობიდან გაათავისუფლა მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭომ.²² ეს ორგანო შექმნილი იყო მოსამართლეთა „დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მოქმედებდა, როგორც სასამართლო ორგანო, მაშინ როდესაც საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური სასამართლოების შექმნა აკრძალულია. გარდა ამისა, კანონის თანახმად, საბჭოს გადაწყვეტილება იყო საბოლოო და არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. ქეთევან ბახტაძემ მის მიმართ გამოტანილი უკანონო გადაწყვეტილების გასაჩივრება საერთო სასამართლოებში ვერ შეძლო შესაბამისი მექანიზმის არარსებობის გამო. მოსარჩელეს, სადავო აქტით, ეზღუდებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით დაცული სასამართლოში მიმართვის უფლება. ამიტომ, მოსარჩელემ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა კონსტიტუციური სარჩელით.

21. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 1996წ.

22. 2004 წლის 28 ივნისის №276 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „სახალხო დამცველი და ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის“ წინააღმდეგ

საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთა მთლიანად ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით და მიუთითა, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ყველასთვის და მათ შორის, მოსამართლეებისთვისაც. სარჩელი, ძირითად ნაწილში, დაკმაყოფილდა. პარლამენტს დაევალა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ იქნა აღსრულებული სრულყოფილად.

მართალია, კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, მოსამართლეს უფლება მიეცა გაესაჩივრებინა სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილება, მაგრამ მხოლოდ კასაციის წესით, რამაც გამორიცხა საქმის არსებითი განხილვა. აქედან გამომდინარე, სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება კვლავ შეუძლებელი იყო. იმის გამო, რომ პარლამენტმა სათანადოდ არ აღასრულა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ქეთევან ბახტაძის საქმეზე 2004 წლის 28 ივნისს გამოტანილი №276 გადაწყვეტილება, არაკონსტიტუციური კანონის მოქმედებით, სხვა მოსამართლეებიც დაზარალდნენ.

2005 წელს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს ყოფილმა მოსამართლეებმა: მარიამიძემ და ქობულაძემ. პაატა ქობულაძემ და ალექსი მარიამიძემ სადავოდ გახადეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეუთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 741-ე მუხლის პირველი პუნქტი და 743-ე მუხლი, რომლებიც მიღებულია საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის 1/3/209,276 გადაწყვეტილების შედეგ. მოსარჩელეთა მტკიცებით, სადავო ნორმების თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლო, სადისციპლინო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, საქმის მხოლოდ ფორმალური მდგომარეობის შემოწმებით შემოიფარგლებოდა და არსებით განხილვას ადგილი არ ჰქონდა.

აქედან გამომდინარე, მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ არ აღსრულდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება – კანონმდებელმა სადავო ნორმების სახით, არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმებს, შინაარსობრივად კვლავ მიანიჭა იურიდიული ძალა, რითაც კვლავ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. მოსარჩელები თანამდებობიდან გათავისუფლდნენ ისევე სადისციპლინო საბჭოს მიერ. მათ აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება, ქ. ბახტაძისაგან განსხვავებით, მართალია შეძლეს, თუმცა სადისციპლინო კანონის თანახმად, საქმე განიხილა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მხოლოდ კასაციის წესით და არა არსებითად. სასამართლომ არ იმსჯელა ფაქტობრივ გარემოებებზე და არ გამოიკვლია მტკიცებულებები. აქედან გამომდინარე, მარიამიძისა და ქობულაძის მიმართაც დაირღვა კონსტიტუციის 42-ე მუხლით დაცული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. მარიამიძისა და ქობულაძის საქმეთა განხილვისას, პარლამენტი იძულებული გახდა, საკონსტიტუციო სასამართლოში

წარედგინა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომლის თანახმადაც, საერთოდ გაუქმდა მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭო. დისციპლინური საქმეების განხილვა დაეკალა მხოლოდ სადისციპლინო კოლეგიას, რომლის გადაწყვეტილებაც დაექვემდებარა გასაჩივრებას საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ეს უკანასკნელი კი მოსამართლეთა საქმეებს განიხილავს არა მანამდე არსებული კასაციის წესით, არამედ არსებითად, პირველი ინსტანციის წესით. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული კანონპროექტის წარმოდგენის შემდეგ, მარიამიძისა და ქობულაძის საქმის წარმოება შეწყვიტა, ვინაიდან მიიჩნია, რომ ამ გზით, საკანონმდებლო ორგანომ, საბოლოოდ აღასრულა ჯერ კიდევ 2004 წლის 28 ივნისს ბახტაძის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება და სადავო საკითხიც უკვე გადაწყვეტილი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.²³

ქ. ბახტაძისა და ალ. მარიამიძის საქმეთა ანალიზიდან ირკვევა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, პარლამენტი ყოველთვის დროულად და ჯეროვნად არ აღასრულებს. ეს იწვევს არაკონსტიტუციური ნორმების მოქმედებით, უფრო მეტი პირის დაზარალებას და ერთსა და იმავე ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სარჩელების ხელშეორედ აღძვრას. აღნიშნულის მიზეზი არის ისიც, რომ საკანონმდებლო დონეზე არ არის დარეგულირებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმი, აღუსრულებლობის შემთხვევაში კი არ არსებობს შესაბამისი პასუხისმგებლობა თუ სანქციები. ასეთ ვითარებაში, პარლამენტს თუ სადავო აქტის გამომცემ სხვა ორგანოს, ყოველთვის აქვს ლავირების შესაძლებლობა. თუმცა, სანქციის არარსებობა, თავისთავად გულისხმობს, რომ დაუშვებელია არ აღსრულდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

2002 წელს ჩატარებულ სემინარზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ლამარა ჩორგოლაშვილმა ისაუბრა სწორედ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემაზე. მისი აზრით „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პრობლემის გადაუჭრელობის პირობებში, ძირფესვიანად იცვლება საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსი, იგი სასამართლოდან რაღაც სათათბირო ორგანოდ გადაიქცევა, რომელიც მხოლოდ კონსულტაციებს იძლევა“.²⁴

აღნიშნული მოსაზრება, რომელიც ჯერ კიდევ 2002 წელს გამოითქვა პრაქტიკაში, გადაწყვეტილებების აღსრულების გათვალისწინებით, სწორედ რომ დღევანდელ რეალობას შეეფერება.

საკონსტიტუციო სასამართლომ, 2005 წლის 23 მარტის №301 გადაწყვეტილებით საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით სილაგაძე, ლიანა დარსანიძე და ეკატერინე წოწონავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

23. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/3/209,276 28.06.2004წ.

24. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თბილისი, 2002 წელი

არაკონსტიტუციურად ცნო და მოითხოვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე, 37-ე და რამდენიმე სხვა მუხლის მოქმედების შეჩერება.²⁵ აღნიშნული გადაწყვეტილებით, 2005 წლის 28 მარტს, ამოქმედდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მეორე პუნქტი და 109-ე მუხლი, რომლის მოქმედებაც შეჩერებული იყო. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მიუთითა სასამართლომ, რომ გადაწყვეტილება უნდა აღსრულებულიყო არაუგვიანეს 2006 წლის იანვრისა. საკანონმდებლო ორგანოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა. 2006 წლის დეკემბრის თვეში, ამავე მუხლებში შევიდა ცვლილება, თუმცა ეს არ იყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შესული ცვლილებები, რასაც მოწმობს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მეორე პუნქტის სულ სხვა სახით ჩამოყალიბება. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებდა, საჯარო მოხელეზე, წელთა ნამსახურების შესახებ დანამატის გაცემას წლების მიხედვით. ხოლო 2006 წლის დეკემბრის თვეში განხორციელებული ცვლილებებით, წელთა ნამსახურების თაობაზე დანამატის გაცემა, დაწესდა მხოლოდ ადმინისტრაციის სურვილით.

ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოს „საკონსტიტუციო სამართლწარმოების შესახებ“ კანონის თანახმად, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი, კარგავს იურიდიულ ძალას სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან. აღნიშნული კი იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკუქცევითი ძალა არა აქვს.

ეს საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან თუ მოქალაქემ სადავო აქტის არაკონსტიტუციურად გამოცხადებით პრაქტიკულად ვერ აღიდგინა დარღვეული კონსტიტუციური უფლება, შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებას, აზრიც კი ეკარგება.

ამისთვის, ალბათ, სასურველი იქნებოდა, საქართველოს საკონსტიტუციო კანონმდებლობაში გაჩნდეს სათანადო ნორმები, რომლითაც შესაძლებელი იქნება, მოქალაქის უფლებების აღდგენა. საქართველოს კანონმდებლობაში, ეს პრობლემატურ საკითხად დგას და ამის გამოსწორება საჭიროა.

2006 წლის 28 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე (Case of Apostol v.georgia №40765\02).²⁶ ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობა განსხვავდება გერმანიის, ესპანეთის ან ჩეხეთის სამართალწარმოებისგან.

25. საკონსტიტუციო სასამართლო, 2005 წლის 23 მარტის №301 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეებმა დავით სილაგაძე, ლიანა დარსანია და ეკატერინე წოწინაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

26. 2006 წლის 28 ნოემბრის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება – Case of Apostol v.Georgia №40765\02

ამ ქვეყნებში არსებული „რეალური“ საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენით, შესაძლებელია მხარისაგან კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, თუკი კონსტიტუციით დაცული უფლება დარღვეულია სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირების მიერ. უფრო მეტიც, სახელმწიფო ორგანოს შეიძლება მოეთხოვოს ამგვარი დარღვევის აღკვეთა და სტატუს-ქვოს აღდგენა, თუ ეს შესაძლებელია. ამ ქვეყნებში, არაკონსტიტუციური კანონის გაუქმება იწვევს კანონის საფუძველზე სასამართლოების ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უკანონოდ ცნობას. ევროპული სასამართლოს აზრით, ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს სასამართლოების ან ადმინისტრაციული ორგანოების ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოსარჩელის უფლებებზე. კანონის ან სხვა აქტის არაკონსტიტუციურად გამოცხადება, არ იწვევს უკანონოდ ცნობილი აქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას, ხდება მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სხვა ქვეყნების პრაქტიკა, ამ კუთხით, სულ სხვანაირია. მაგალითის სახით, შეიძლება გამოვიყენოთ გერმანიის კანონმდებლობა. გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაო აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა, იწვევს მანამდე სადაო აქტის შესაბამისად გამოტანილი გადაწყვეტილებების გაუქმებას და პირის უფლებებში აღდგენას.

ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება საკანონმდებლო ორგანოს მიერ, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომელიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. აღნიშნული ნორმის მიუხედავად, პრაქტიკაში არის პრეცედენტი, არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი ნორმის ანალოგიური შინაარსის მქონე აქტის მიღების. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე „ზაურ ელაშვილი, სანალხო დამცველი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.3-ე მუხლი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის I და II პუნქტებთან მიმართებაში.²⁷

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.3-ე მუხლი ითვალისწინებდა აქციათა სავალდებულო მიყიდვას, კერძოდ: „თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში ჰქონდა სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება ჰქონდა, გამოესყიდა სხვა აქციონერთა აქციები ამ კანონის 53.2-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამართლიან ფასად, ხოლო დანარჩენ აქციონერებს, აქციათა სანაცვლოდ, სამართლიანი ფასის მიღების უფლება რჩებოდათ.“

27. საკონსტიტუციო სასამართლო. 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება - ზაურ ელაშვილი, სანალხო დამცველი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

სადავო აქტი ზღუდავდა მცირე აქციონერთა უფლებას, თავისუფლად განეკარგათ კუთვნილი საკუთრება, ეს უფლება კი დაცულია და გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის I-ლი ნაწილით. სწორედ აღნიშნული იყო იმის საფუძველი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.3 მუხლი ცნობილი იქნა არაკონსტიტუციურად.

აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.3 მუხლი, თუმცა საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ამავე კანონში შეტანილი (დამატებული) იქნა ანალოგიური შინაარსის მუხლი 53.4, რომელიც ასევე ითვალისწინებს მსხვილი აქციონერის მიერ მცირე აქციონერებისგან აქციათა სავალდებულო გამოსყიდვას. აღნიშნული ფაქტი, საერთოდ უკარგავს აზრს საკონსტიტუციო სასამართლოს და მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს. ისევე როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.3 მუხლი, ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.4-ე მუხლიც გასაჩივრებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოში.

2008 წლის 7 მაისს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო 53.4 მუხლის არაკონსტიტუციურობის საკითხზე, განმწესრიგებელი სხდომის ჩატარდა. საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ზემოაღნიშნული სარჩელის დასაშვებობის საკითხი. განმწესრიგებელ სხდომამდე, საქართველოს პარლამენტის მიერ, სადავო აქტი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა. საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელი(მოპასუხე), არ დაეთანხმა სარჩელს და განაცხადა, რომ სარჩელი არ უნდა ყოფილიყო წარმოებაში მიღებული, ვინაიდან პარლამენტმა პროცესამდე რამდენიმე კვირით ადრე, 2008 წლის 3 მარტს, ცვლილება შეიტანა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და სადავო აქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. საქართველოს პარლამენტი, აღნიშნული მაგალითიდან გამომდინარე, ცდილობს თავი აარილოს პასუხისმგებლობას და გაატაროს საჯარო ინტერესი, რაც კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებას აფერხებს და ხელოვნურ ბარიერებს უქმნის მოსარჩელეებს დაიცვან კონსტიტუციით დაცული უფლებები. ეს ყოველივე კი ხელს უშლის საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი ფუნქციის განხორციელებაში და ეჭვქვეშ აყენებს მისი საქმიანობის ეფექტურობის საკითხს.

ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული არაკონსტიტუციური ნორმის გამო, მესამედ იქნა შეტანილი საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი. კონსტიტუციური სარჩელით, ამჯერად მოთხოვილი იქნა ახალი, რედაქტირებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.4 მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის I და II ნაწილთან მიმართებაში.

აღნიშნული სარჩელი, კანონმდებლობის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაში არ უნდა მიეღო და განმწესრიგებელ სხდომაზე, სადავო ნორმა, საქმის განუხილველად, ძალადაკარგულად უნდა გამოეცხადებინა.

აღნიშნულის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 25-ე მუხლი, რომლის თანახმადაც: „თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმეორებულ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.“

მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო კონსტიტუციური სარჩელი ისე, რომ ძალადაკარგულად არ გამოეცხადებია სადავო ნორმა. საკონსტიტუციო სასამართლომ, აღნიშნული კონსტიტუციური სარჩელის მიუღებლობის საფუძველად მიუთითა ის, რომ აღნიშნულ სადავო ნორმაზე, საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე იმსჯელა, რაც ყველანაირ საფუძველსაა მოკლებული, ვინაიდან ჯერ ერთი, საკონსტიტუციო სასამართლომ მანამდე იმსჯელა სხვა რედაქტირებით ჩამოყალიბებულ ნორმაზე და არა გასაჩივრებულ სადავო აქტზე. მეორე ის, რომ ძალადაკარგულად არ გამოეცხადებია სადავო აქტი.

აქედან გამომდინარე კი ნათლად ჩანს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხის პრობლემა გადაუჭრელია და ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო როგორც კანონმდებელს, ისე თავად საკონსტიტუციო სასამართლოს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო აქტების გამოყენება

დაარსებიდან (1996წ) დღემდე მოყოლებული, საკონსტიტუციო სასამართლომ, გადაწყვეტილებების გამოტანის დროს, არაერთხელ გამოიყენა საერთაშორისო აქტი კონსტიტუციური სარჩელის თაობაზე გადაწყვეტილებების დასაბუთებლად. საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი საქმიანობისას, იყენებს სხვადასხვა სახისა და იურიდიული ბუნების საერთაშორისო აქტებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ უზენაეს ღირებულებებს და მათ უშუალოდ მოქმედ სამართლად აღიარებს. საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ ის არ ეწინააღმდეგება ჩვენს ძირითად კანონს, აქვს უპირატესი ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამდენად, საერთაშორისო ხელშეკრულებებს მინიჭებული აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები არაერთი გადაწყვეტილების დასაბუთებისას გამოიყენა. საქმეზე „ლადო სანიკიძე და მოქალაქე კობა დავითაშვილი საქართველოს

პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 1997 წლის 15 იანვარის განჩინების დასაბუთებისას, სხვა აქტებთან ერთად გამოიყენა 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაც.

მოსარჩელები კონსტიტუციურ სარჩელში მიუთითებდნენ: „ჩვენი, როგორც საქართველოს მოქალაქეთა უფლებები შელახულია. 1995 წლის 25 ნოემბრიდან დღემდე, საქართველოს სახელმწიფოს სახელით, გამოტანილია სასიკვდილო განაჩენები. საქართველოს სახელმწიფოს დამფუძნებლები ვართ ჩვენ – მოქალაქეები. ასე რომ, ჩვენი სახელით, არაკონსტიტუციურ ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით, სიკვდილი მიესაჯათ ადამიანებს, რითაც უხეშად დაირღვა ჩვენი, როგორც დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დამამკვიდრებლების (საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა) კონსტიტუციური უფლებები“.²⁸

კონსტიტუციურ სარჩელში, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მეორე პუნქტსა და 106-ე მუხლის მესამე პუნქტზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებული ყოფილიყო ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

კონსტიტუციით განსაზღვრული ორგანული კანონის მიღებამდე, არსებული ნორმატიული აქტების მართლზომიერება, დამატებით დადასტურებას მოითხოვს, რაც არ მომხდარა.

არ არსებობდა საქართველოს პარლამენტის აქტი, რომელიც ადასტურებდა სისხლის სამართლის კოდექსის სადავო მუხლებით გათვალისწინებული განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის მართლზომიერებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები მოითხოვდნენ „სარჩელში მოყვანილი ნორმატიული აქტების (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები) ის ნაწილები, რომლებიც ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას“, არაკონსტიტუციურად ეცნოთ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციური სარჩელი არ იყო შეტანილი უფლებამოსილი პირების მიერ, რადგან ფიზიკურ პირს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როცა ნორმატიული აქტი არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებულ უშუალოდ მის უფლებებსა და თავისუფლებებს. საკითხის რეგულირების ასეთივე სამართლებრივი მექანიზმია დამკვიდრებული საერთაშორისო აქტებით. კერძოდ, 1948 წლის 10 დეკემბრის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-8 მუხლის მიხედვით, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ეფექტურად იქნეს აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები“.

28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო., 1997 წლის 15 იანვარის განჩინება საქმეზე “დადო სანიკაძე და მოქალაქე კობა დაკუთარებული საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”

ასეთივე დებულებებს შეიცავს 1966 წლის 16 დეკემბრის “საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ”, 1950 წლის 4 ნოემბრის „ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები. რაც შეეხება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საზოგადოდ, ამისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, გათვალისწინებულია სუბიექტთა ფართო წრე – საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი, სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომდგენლობითი ორგანოები, სახალხო დამცველი, რომელთაც გააჩნიათ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება. აღნიშნულ განჩინებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვაზე უარი საერთაშორისო აქტებით დაასაბუთა.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის, საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადად იყენებს საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და საერთაშორისო პაქტს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თავის საქმიანობაში იყენებს სარეკომენდაციო ხასიათის საერთაშორისო აქტებსაც. უმრავლეს შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმეზე „მოქალაქე ალექსანდრე დანელია და მოქალაქე გიორგი ცომაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (1996 წლის 30 დეკემბერი) გამოტანილი გადაწყვეტილება, დაასაბუთა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით. მოსარჩევეები, კონსტიტუციური სარჩელით ითხოვნენ „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის პირველი თავის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი აბზაცის და მე-12 მუხლის პირველი პუნქტის “პ” ქვეპუნქტის ბოლო აბზაცის, მე-3 თავის მე-18 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი აბზაცისა და მე-4 პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვას საქართველოს კონსტიტუციის 21 მუხლის მე-3 პუნქტთან, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებასა და 42-ე მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმადაც ყოველ ადამიანს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით აღიარებულ და გარანტირებულ დაცვის უფლებას ეწინააღმდეგება სადავო აქტის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადება: კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვითაც ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე, და ამავე მუხლის მე-3 პუნქტს ეწინააღმდეგება სადავო აქტის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

„საგადასახადო სამსახურის მიერ არასწორად გადახდებიანებული გადასახადების თანხები და სხვა სავალდებულო გადასახადები, ექვემდებარება დაბრუნებას, ხოლო საგადასახადო სამსახურების და მათი თანამდებობის პირთა მიერ არამართლზომიერი ქმედითი გადასახადის გადამხდელისათვის მიყენებული ზარალი (მათ შორის ხელიდან გაშვებული სარგებელი), ანაზღაურდება დადგენილი წესით“.²⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩევეების – მოქ. ალექსანდრე დანელიასა და მოქ. გიორგი ცომაიას კონსტიტუციური სარჩელი. საკონსტიტუციო სასამართლომ, გადაწყვეტილება დაასაბუთა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დაკლარაციით. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის ზემოაღნიშნული წესი, შეესაბამება აღიარებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს. კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის 1950 წლის კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლი ადგენს: „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, უფლება აქვს მშვიდობიანად გამოიყენოს თავისი ქონება. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ქონება, გარდა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის აუცილებლობის შემთხვევაში და პირობების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით და საერთაშორისო სამართლის საერთო პრინციპებით“. სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოხსენებული დებულება, არავითარ შემთხვევაში არ ზღუდავდა სახელმწიფოს უფლებას, მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც მას მიაჩნდა საჭიროდ ქონების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისთვის, საერთო ინტერესების შესაბამისად ან გადასახადების გადახდის ან სხვა შესატანებისა და ჯარიმების გადახდის უზრუნველყოფისათვის. რაც შეეხება უშუალოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებას, აღსანიშნავია, რომ ნელ-ნელა მკვიდრდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების პრაქტიკაც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო ევროპული კონვენციის გამოყენების არაერთი შემთხვევა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ, 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, დაასაბუთა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ, სასამართლოში მიმართვის უფლების შეზღუდვა შემდეგნაირად დაასაბუთა ევროკონვენციითა და ევრო-სასამართლოს პრაქტიკით: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ამჯერადაც სადავო ნორმების კონსტიტუციურობის დადგენისას, შეაფასებს მათ მიმართებას კონვენციის შესაბამის დებულებებთან.

29. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 1996 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება – საქმე „მოქალაქე ალექსანდრე დანელია და მოქალაქე გიორგი ცომაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურ უფლებას განმარტავს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე-6 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის თანახმად: „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“.³⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია განემარტა, ვრცელდება თუ არა სადავო ნორმებით გათვალისწინებულ ურთიერთობებზე სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციური უფლება იმ ფარგლებში, როგორც ამას ადგენს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე-6 მუხლი. სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და მანამდე ევროპულმა კომისიამ, კონვენციის მე-6 მუხლის დებულებები განვრცობითად განმარტეს იმ საფუძველზე, რომ აღნიშნულ მუხლს, დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. „მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებაზე უფლებას იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კონვენციის მნიშვნელობით დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომ მე-6 მუხლის შეზღუდვითი განმარტება მისი დებულებების მიზნებსა და დანიშნულებასთან შეუსაბამო იქნებოდა“³¹ (№2689\65-17.01. Case of delcourt v. Belgium 1970). თუ ბრალდება მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრება როგორც სისხლისსამართლებრივი, მე-6 მუხლის მოქმედება სამართალწარმოებაზე გავრცელდება. თუმცა, ასეთი კვალიფიკაციის არარსებობას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიების შემზღობისთვის. 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე „ენხელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ“, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „თუ ხელშემკვერელ სახელმწიფოებს ექნებოდათ შესაძლებლობა, თავიანთი შეხედულებით დაეკვალიფიცირებინათ დანაშაული დისციპლინურად სისხლისსამართლებრივის ნაცვლად, ანდა „შერეული“ დანაშაულის ჩამდენის მიმართ ეწარმოებინათ დისციპლინური დევნა, სისხლისსამართლებრივის ნაცვლად, მე-6 და მე-7 მუხლების ფუძემდებლური დებულებების მოქმედება-არმოქმედება მათ სუვერენულ ნებას დაექვემდებარებოდა. ასეთ ფართო შეხედულებას შეეძლო, კონვენციის მიზანსა და დანიშნულებასთან, შეუსაბამო შედეგი გამოეწვია“ (81-ე პუნქტი).

30. საკონსტიტუციო სასამართლო, 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები - ვანტაგ მასურაშვილი და თინო მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

31. Case of Delcourt v. Belgium №2689\65-17. 01.1970

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციური სარჩელის მიზნებისთვის, საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს სტრასბურგის სასამართლოს მიდგომას და მიიჩნია, რომ „ვინაიდან სადავო ნორმებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის სახით დადგენილია თავისუფლების აღკვეთა (პატიმრობა 30 დღე-ღამემდე ვადით), მასზე უნდა გავრცელდეს კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედება.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაში, საკუთრების უფლების შეზღუდვა დაასაბუთა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. აღნიშნული გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.3-ე მუხლი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის I და II პუნქტებთან მიმართებაში.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.3-ე მუხლი ითვალისწინებდა აქციათა სავალდებულო მიყიდვას. კერძოდ, „თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში ჰქონდა სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 9.5%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება ჰქონდა, გამოეყენებინა სხვა აქციონერთა აქციები ამ კანონის 53.2-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამართლიან ფასად, ხოლო დანარჩენ აქციონერებს რჩებოდათ აქციათა სანაცვლოდ სამართლიანი ფასის მიღების უფლება. სადავო აქტი ზღუდავდა მცირე აქციონერთა უფლებას, თავისუფლად განეკარგათ კუთვნილი საკუთრება, ეს უფლება კი დაცულია და გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის I-ლი ნაწილით, სწორედ აღნიშნული იყო იმის საფუძველი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.3-ე მუხლი ცნობილი იქნა არაკონსტიტუციურად.

საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით აღნიშნა: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა ამ საკითხისადმი საკმაოდ ლიბერალურია. საქმეზე „ჯეიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საკუთრების იძულებითი გადაცემა ერთი კერძო პირიდან მეორე კერძო პირისათვის, შეიძლება შეესაბამებოდეს კანონიერ მიზანს საზოგადოების ინტერესებში. „საზოგადოებრივი ინტერესების“ გაგება ვრცელია და მოქმედებს ე.წ. „სახელმწიფოს ფართო მიხედულების“ კონცეფცია. საკანონმდებლო ორგანოსთვის მინიჭებული თავისუფალი მოქმედების ჩარჩოები, მის მიერ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას, საკმაოდ ფართო უნდა იყოს. თუმცა, საკანონმდებლო ორგანოს პოზიცია მცდარია, როდესაც აშკარაა, რომ ამ პოზიციას არა აქვს გონივრული საფუძველი.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ არ არის მყარი და ყველა საზოგადოებაზე უნივერსალურად მორგებული ცნება. ის ცვალებადია დროსა

და სივრცეში პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მოცემულობების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ის რაც ერთ საზოგადოებაში შეიძლება ჩაითვალოს „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად“, შეიძლება სხვა საზოგადოებაში ასეთად არ იქნეს მიჩნეული. გარდა ამისა, ის რაც მოცემული მომენტისთვის გაგებულია როგორც „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“, შესაძლოა, მომავალში ასეთად აღარ ჩაითვალოს ან პირიქით – დღეისათვის არსებულმა მიზანმა, რომელსაც ვერ მივანიჭებთ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების ხარისხს“, მომავალში მიიღოს ასეთი დატვირთვა. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ განსაზღვრისას, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა არის საკუთრების უფლების ობიექტი, როგორია მისი ბუნება და სოციალური დატვირთვა. ამ თვალსაზრისით, ის გარემოებები, რომლებიც წარმოადგენენ „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“ საკუთრების ერთი ობიექტის მიმართ, ასეთ საჭიროებას შეიძლება არ წარმოადგენდნენ სხვა ობიექტის მიმართ.“³²

საქმეზე „მ.პ.ს. „უნივერსის“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებაც, ასევე ეფუძნება ევროკონვენციით დასაბუთებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და მანამდე ევროპულმა კომისიამ, კონვენციის მე-6 მუხლის დებულებები განვრცობითად განმარტეს იმ საფუძველზე, რომ აღნიშნულ მუხლს, დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. „მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებაზე უფლებას იძენდა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კონვენციის მნიშვნელობით დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომ მე-6 მუხლის შეზღუდვითი განმარტება მისი დებულებების მიზნებსა და დანიშნულებასთან, შეუსაბამო იქნებოდა“³³ (1970 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება ბელგიის წინააღმდეგ *Delcourt v. Belgium*, Series A no. 11, 25). საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლებას ყველა უფლებასთან მიმართებით არ უზრუნველყოფს. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან წაყენებული ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება, კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე.“ აღნიშნული ფორმულირებიდან ცხადია, რომ მე-6 მუხლი არ მოიცავს ყველა სახის სამართალწარმოებას, რომლის მხარეც პირი შეიძლება იყოს, არამედ შემოიფარგლება იმ განხილვით, რომელიც ეხება სამოქალაქო უფლება-მოვალეობების განსაზღვრას ან სისხლის სამართლის ბრალდების დადგენას.

32. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელამ-კლია, სულკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2007 წლის 18 მაისი

33. *Delcourt v. Belgium* (17.01.1979),

სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლების განხილვამდე, საკონსტიტუციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, გაარკვიოს, ვრცელდება თუ არა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ჩატარებული ამოღების საგამოძიებო მოქმედებაზე. იქიდან გამომდინარე, რომ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები მე-6 მუხლის მნიშვნელობით განიმარტება, როგორც კერძო სამართლებრივი უფლება-მოვალეობები, საკონსტიტუციო სასამართლო წინამდებარე საქმეში სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე სამოქალაქო უფლებათა შესახებ დავის გადაწყვეტის კონტექსტში ვერ იმსჯელებს.³⁴ რაც შეეხება მოსარჩელის სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას სისხლისსამართალწარმოების კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-6 მუხლში გათვალისწინებული გარანტიები ვრცელდება არა მხოლოდ სასამართლო განხილვაზე, არამედ როგორც მანამდე, ისე მის შემდგომ არსებულ სტადიებზე. აგრეთვე, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-6 მუხლის დაცვით, სისხლის სამართლის პროცესში სარგებლობენ აგრეთვე იურიდიული პირები.

ბოლოდროინდელ საქმეზე შპს „მარპა ზეელანდი“ და შპს „ლითონის ლობის მომსახურება“ ნიდერლანდების წინააღმდეგ³⁴, განმცხადებელ კომპანიებში ჩატარდა ჩხრეკა და ამოღებული იქნა საფინანსო დოკუმენტები.

განმცხადებელი კომპანიები, სტრასბურგის სასამართლოში, ყალბისმქმნელობასა და საგადასახადო დანაშაულების ბრალდების საქმეზე, გონივრულ ვადებში სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების საკარაუდო დარღვევაზე დაკობენ. ევროპული სასამართლოს 2004 წლის 6 აპრილის განჩინებით, საქმე არსებითი განხილვისთვის იქნა დაშვებული.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „ბრალდება“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მნიშვნელობით, ავტონომიური კონცეფცია იყო, რომელიც არ იყო დამოკიდებული შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არსებულ განსაზღვრებაზე. საქმეზე „დევეერი ბელგიის წინააღმდეგ“, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სიტყვას „ბრალდება“ უნდა მიეცეს არსებითი და არა ფორმალური მნიშვნელობა, სასამართლომ სამართალწარმოების რეალური ასპექტები უნდა განიხილოს. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, „ბრალდება“ განისაზღვრება, როგორც ა) უფლებამოსილი ორგანოს მიერ პირისთვის მიცემული ოფიციალური შეტყობინება მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ვარაუდის თაობაზე; ან ბ) რაიმე აქტი, რომელიც გულისხმობს ასეთი ვარაუდის არსებობას და მნიშვნელოვნად აუარესებს ეჭვმიტანილის მდგომარეობას³⁵ (1980 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება (Deweere v. Belgium), Series A no. 35-ე, 42-46-ე პუნქტები).

34. შ.პ.ს. „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება

35. Deweere v. Belgium (27.02.1980)

უარესდება თუ არა პირის მდგომარეობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად, როცა ამოღებულია სრული საფინანსო-სამეურნეო დოკუმენტაცია დედნების სახით ისე, რომ ამან ევროპული კონვენციის მნიშვნელობით „ბრალის“ წარდგენა შეადგინოს, თუნდაც ფორმალურად სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ იყოს? კონსტიტუციური სარჩელის მიზნებისთვის, საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა სტრასბურგის სასამართლოს მიდგომა და მიიჩნია, რომ დადებითი პასუხი დასმულ კითხვაზე შესაბამისობაში იქნება „ბრალის“ არსებით და არა ფორმალურ გაგებასთან და დელეკურის საქმეზე დადგენილ განვრცობითი განმარტების ზემოაღნიშნულ პრინციპთან. შესაბამისად, კონსტიტუციურ სარჩელზე მე-ნ მუხლის მოქმედება ვრცელდება. მას შემდეგ, რაც დადასტურებულად მიიჩნია კონსტიტუციურ სარჩელთან მე-ნ მუხლის შემხებლობა, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული მუხლის მნიშვნელობით, სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლება განიხილა. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიუთითა, რომ უფლება სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე, მე-ნ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კანონით შექმნილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე, უფლების ერთ-ერთ შემადგენელ ასპექტს წარმოადგენდა და გულისხმობდა პირის უფლებას, სამართალწარმოების დაწყების მიზნით სასამართლოს მიმართოს. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება აბსოლუტური არ არის. ეს უფლება თავისი ბუნებით, სახელმწიფო რეგლამენტაციას საჭიროებდა და შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც აღნიშნული უფლების შინაარსს და კონვენციით გათვალისწინებულ სხვა უფლებებს არ უნდა ლახავდეს. სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლების შეზღუდვა გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონიერ მიზანს ემსახურება და დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის გონივრული თანაბარზომიერება არის დაცული.³⁶ (1975 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Golder v. the United Kingdom №4451\70)).

საკონსტიტუციო სასამართლო დაეთანხმა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლების შეზღუდვის კანონიერი მიზანი, როგორც ეს სასამართლო სხდომაზე მოწმედ მოწვეული საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლის განმარტებიდან გამომდინარეობდა, იყო წინასწარი გამოძიების გაჭიანურების თავიდან აცილება.

მაგრამ, სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ აღნიშნულ კანონიერ მიზანსა და მოცემულ სადავო შემთხვევებში, სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლების უგულებელყოფის სახით არსებულ შეზღუდვას შორის, გონივრული თანაბარზომიერება იყო დაცული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლსაც.

36. Golder v. the United Kingdom (21.02.1975)

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გავლენას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მათი გავლენა ჯერჯერობით არ არის არსებითი, რადგან უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლო იმავე გადაწყვეტილებას მიიღებდა, რომ არ გამოეყენებინა საერთაშორისო აქტები. ძირითადად, საკონსტიტუციო სასამართლო, საერთაშორისო აქტებს იყენებს იმის დასადასტურებლად, რომ ადამიანის უფლებებს, საქართველოში, მიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი იმავე წესით იცავს, როგორც ეს უზრუნველყოფილია საერთაშორისო აქტებით. აქვე გათვალისწინებულია საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანოს მიერ საერთაშორისო აქტების გამოყენების თავისებურება. ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საერთაშორისო აქტები უნდა გამოიყენოს ძირითადად იმისათვის, რომ უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციისა და მიდასახელმწიფოებრივი ნორმების სწორი განმარტება. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენების ინიციატივას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზმა ცხადყო, რომ სასამართლო, საკმაოდ ხშირად, სწორედ თავისი ინიციატივით იყენებს ევროპულ კონვენციას. სასამართლოს ასეთი პრაქტიკა მისასალმებელია და იგი კიდევ უფრო უნდა განვითარდეს. საკონსტიტუციო სასამართლო ასევე იყენებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებს პროცესის მონაწილე მხარის ინიციატივითაც. პრაქტიკაში არსებობს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მხარემ თავისი პოზიცია დაასაბუთა სწორედ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რაც სასამართლოს მიერ ასახული და გაზიარებული იქნა თავის გადაწყვეტილებაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, პრაქტიკა ვითარდება აგრეთვე მოსამართლეთა მიერ თავიანთი განსხვავებული აზრების ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების საფუძველზე დასაბუთების მიმართულებითაც.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საჭიროებს შემდგომ განვითარებას, შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ, თავისი გადაწყვეტილებებით, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას საქართველოში. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებებში, ფართოდ იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. განსაკუთრებით, კონსტიტუციური ნორმების განმარტებისას, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის უმრავლესი ნორმა ატარებს ზოგად ხასიათს, ზოგჯერ სადავო ნორმა კი იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, ასევე ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები, დადებით როლს ასრულებს და უფრო მეტ სამართლებრივ საშუალებას აძლევს საკონსტიტუციო სასამართლოს, ნორმათა კონსტიტუციურობის შეფასებისა და მსჯელობის დროს, დაასაბუთოს გადაწყვეტილება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, ბატონი ზოიძე, 2002


წელს, ერთ-ერთ თავის სტატიაში „ადამიანის უფლებები და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა“, წერდა რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თავის პრაქტიკაში, ჯერ არ ჰქონია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენება და მათი უშუალო ციტირება.³⁷ სრულიად განსხვავებული სურათია დღეისთვის. 2003 წლის შემდგომ განხილულ საქმეებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებში, სასამართლომ ძალზედ ეფექტურად გამოიყენა ევროსასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები და საკონსტიტუციო ნორმებს უმეტესად მისცა სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისი განმარტებები. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, თავისი არსებობის არც თუ ისე დიდი ხნის მანძილზე, დაამტკიცა რომ ის ძალზედ საჭირო ინსტრუმენტია ქვეყანაში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით. ამასთანავე, მისი განვითარება და სრულყოფა მუდმივად უნდა ხდებოდეს, რაც იურისტებისთვის ფართო მსჯელობის საგანია.



37. თიარ ზიძიე, „საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და ტენდენციები და პერსპექტივები“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“- 2000 წელი.

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

წინამდებარე თავში განხილულია გადაწყვეტილებები, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციის II თავთან მიმართებით გამოიტანა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს შორის, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები. კონსტიტუციის მე-2 თავი მოიცავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. კონსტიტუციის 89-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირს შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ კანონის ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოქმედებით, მას ერღვევა (შეიძლება დაერთვეს) საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით დაცული რომელიმე უფლება ან თავისუფლება. სტატისტიკის შესწავლით ირკვევა, რომ კონსტიტუციის მე-2 თავთან მიმართებით განხილულ საქმეებში, მოსარჩელები, უმეტეს შემთხვევაში, დავობდნენ კონსტიტუციის მე-14, მე-18, მე-19, 21-ე და 42-ე მუხლებით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შესახებ. განხილული შემთხვევების სტატისტიკა, დაახლოებით, ასე გამოიყურება:³⁸



38. 1996 წლიდან 2009 წლის 01 ოქტომბრამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შესულია დაახლოებით 500-მდე სარჩელი/წარდგინება. მათგან წარმოებაში არ იქნა მიღებული დაახლოებით 250-მდე. 2007 წლის 01 იანვრიდან 2009 წლის 01 ოქტომბრამდე არსებითად იქნა განხილული 15 სარჩელი და მათზე მიღებულია საბოლოო გადაწყვეტილება. აქდან მხოლოდ 5 მათგანი დაკმაყოფილდა. მათითებულ პერიოდში 41 მოსარჩელეს განმწესრიგებელ სსდომასზე ეთქვა უარი სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე.

42-ე მუხლთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებანი:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად:

1. „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია.

4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

6. ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას, იურიდიული ძალა არა აქვს.

8. არავინ არ არის ვალდებული, მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.“³⁹

ჩვენ განვიხილავთ ამ მუხლს მხოლოდ სამ ასპექტში:

• სასამართლოსთვის მიმართვის უფლება

სასამართლოსთვის მიმართვის უფლება პირის ძირითადი კონსტიტუციური უფლებაა. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, საკონსტიტუციო სასამართლომ მეტი სიღრმადით განმარტა, ვიდრე ეს კონსტიტუციის 42-ე მუხლშია მითითებული. 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, „შპს „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: „ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი და საჩივრის განმხილველ სასამართლოთა ჩამონათვალი, შესაძლებელია სხვადასხვა იყოს. მაგრამ შესაძლებლობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტის პრინციპთან. პირი, სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრებით, რეალიზაციას უკეთებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას“.⁴⁰

39. საქართველოს კონსტიტუცია-1995წელი;

40. 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

ამ გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ, მნიშვნელოვნად და ფართოდ განმარტა კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლება. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება განმარტა არა როგორც ერთი (პირველი) ინსტანციის დონეზე არსებული უფლება პირისთვის, არამედ ეს უფლება მოიცავს ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების უფლებასაც.

მიუხედავად ასეთი შეხედულებისა, საკონსტიტუციო სასამართლომ იმავე გადაწყვეტილებაში გააკეთა მეორე და მნიშვნელოვანი განმარტება უფლებაზე და აღნიშნა: „სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლების შეზღუდვა გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონიერ მიზანს ემსახურება და დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის, გონივრული თანაზომიერება არის დაცული“ საკონსტიტუციო სასამართლომ, ეს უფლება, როგორც აბსოლუტური (შეუზღუდავი) უფლება არ განმარტა და შეზღუდვა დასაშვებად მიიჩნია გარკვეული პირობების არსებობისას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მეტი სიცხადით განსამარტავად, პარალელები გააულო კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციის მე-6 მუხლს შორის. საკონსტიტუციო სასამართლო, ასეთ შედარებებს, სხვა უფლებების მეტი სიცხადით განმარტების დროსაც მიმართავს.

იმავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა:

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ 1950 წლის ნოემბრის კონვენცია (საქართველოსთვის ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან), მხარეებს, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე თავიანთი არგუმენტები ევროპული კონვენციის ნორმებით გამყარონ. აღნიშნული ვრცელდება აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლითაც დაზუსტებულია ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შინაარსი და მოცულობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და მანამდე ევროპულმა კომისიამ, კონვენციის მე-6 მუხლის დებულებები განვრცობითად განმარტეს იმ საფუძველზე, რომ აღნიშნულ მუხლს, დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის, ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. „მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებაზე უფლებას“ იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კონვენციის მნიშვნელობით დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომ მე-6 მუხლის შეზღუდვითი განმარტება, მისი დებულებების მიზნებსა და დანიშნულებასთან, შეუსაბამო იქნებოდა” (იხ. 1970 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „დელკური ბელგიის წინააღმდეგ“ (Delcourt v. Belgium), Series A no. 11, 25-ე პუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლებას არა ყველა უფლებასთან მიმართებით უზრუნველყოფს. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან წაყენებული ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე.“ აღნიშნული ფორმულირებიდან ცხადია, რომ მე-6 მუხლი არ მოიცავს ყველა სახის სამართალწარმოებას, რომლის მხარეც პირი შეიძლება იყოს, არამედ შემოიფარგლება იმ განხილვით, რომელიც ეხება სამოქალაქო უფლება-მოვალეობების განსაზღვრას ან სისხლის სამართლის ბრალდების დადგენას. სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლების განხილვამდე, საკონსტიტუციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, გაარკვიოს, ვრცელდება თუ არა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ჩატარებული ამოღების საგამოძიებო მოქმედებაზე.“ 2003 წლის 30 აპრილს, საკონსტიტუციომ საინტერესო გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები: ოლღა სუმბათაშვილი და ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

მოსარჩელე დავობდა, რომ მას ერღვეოდა კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული უფლება, ვინაიდან სადავო ნორმით დაწესებული იყო 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა სასამართლოსთვის მიმართვისა. საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა, არაკონსტიტუციურად ეცნო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. ამ საქმეში, საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის მოსამართლის, იაკობ ფუტკარაძის განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრის ავტორი მოსამართლე, არ დაეთანხმა მიღებულ გადაწყვეტილებას და მიუთითა, რომ გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული არ არის ადამიანის კონსტიტუციურ, ანუ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ბუნება და უგულვებელყოფილია მათი ხელშეუვალობა. მათი შეზღუდვა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თვით კონსტიტუციით დადგენილ პირობებშია დასაშვები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეზღუდვა მართლზომიერი კი არაა, არაკონსტიტუციური იქნება. საქმეში „ოლექსანდრე ცხოვრებაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე მოითხოვდა საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 213-ე მუხლის იმ ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც შეეხება პროკურატურის გამომძიებელთა შრომითი დავის საკითხების გადაწყვეტას სასამართლოს გარეშე, ხელქვეითობის წესით.

მოსარჩელე მუშაობდა საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებლად. საქართველოს მთავარმა სამხედრო პროკურორმა, ნ. გოგიტიძემ, მოსარჩელე დაითხოვა სამუშაოდან.

მოსარჩელემ, სამუშაოდან დათხოვნა ჩათვალა რა უკანონოდ, სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს. ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლომ, ალექსანდრე ცხოვრებაშვილის სარჩელი, 1996 წლის 10 მაისის განჩინებით, არ მიიღო წარმობაში და მიუთითა, რომ საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 213-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული დავა, ამ შემთხვევაში პროკურატურის გამოძიებლის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ, განიხილება ზემდგომი ორგანოების მიერ და არ იყო სასამართლოს ქვემდებარე. მოსარჩელის აზრით, საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 213-ე მუხლი, არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს, რომლის თანახმად – ყოველ ადამიანს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად, შეუძლია მიმართოს სასამართლოს. მოპასუხის, პარლამენტის წარმომადგენელმა, არ უარყო მოსარჩელის მიერ კონსტიტუციურ სარჩელში დაყენებული საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 213-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნის საფუძვლიანობა. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 213-ე მუხლი კი, ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებს, კერძოდ იმ ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებსაც ირჩევენ, ამტკიცებენ ან ნიშნავენ თანამდებობაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, მოსამართლეებს, პროკურორებს, მათ მოადგილეებს და თანაშემწეებს, აგრეთვე პროკურატურის გამოძიებლებს, ფაქტობრივად ართმევს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას – თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში. საკონსტიტუციო სასამართლომ, 1996 წლის 5 დეკემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება და მიიჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 213-ე მუხლით დადგენილი წესი, რომლის თანახმად, აღნიშნული კატეგორიის მუშაკებს, არ შეუძლიათ უფლებების დასაცავად მიმართონ სასამართლოს, ამკარად არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებასა და თავისუფლებას.⁴¹

41. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე ცხოვრებაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“:- 1996 წლის 5 დეკემბერი

• დაცვის უფლება

კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლება არის გარანტირებული და დაცული, ეს არის დაცვის უფლება. განსხვავებით კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილისგან, სადაც ასევე დაკავებულს, უფლება აქვს, მოითხოვოს დამცველის დახმარება (ისარგებლოს დამცველის დახმარებით). 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი მოიცავს როგორც დაკავებული პირისთვის ასეთ უფლებას, ასევე სხვა პირებისთვისაც, რომელიც შეიძლება იყოს ექვემდებარებული (სხვა დასაცავი პირი), მაგრამ არ იყოს იმავდროულად დაკავებული. საკონსტიტუციო სასამართლომ, დაცვის უფლება პირველად განმარტა 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე „ბერიაშვილი, ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც მიუთითა: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს არა მარტო გონივრული დრო, არამედ აგრეთვე შესაძლებლობაც, განახორციელოს სრულფასოვანი დაცვა“⁴² ამ გადაწყვეტილებით, დაცვის უფლება განმარტა არა მარტო როგორც ფიზიკურად დამცველის ყოლა და უფლება ადვოკატზე, არამედ საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს არა მარტო გონივრული დრო, არამედ ასევე შესაძლებლობაც, განახორციელოს დაცვა. ამ გადაწყვეტილებამდე, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის დაცული უფლება განმარტებული არ ყოფილა.

ჩამოყალიბებული სტანდარტი, საკონსტიტუციო სასამართლომ, სხვა გადაწყვეტილებებშიც გაიმეორა და დააზუსტა 2003 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებაში „რიჟამაძე და მუმლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა: „სს პროცესში, დაცვის უფლება უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ დამცველი-ადვოკატით სარგებლობის შესაძლებლობა“. საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი მიდგომა და კონსტიტუციის განმარტება, მომავალშიც დიდ როლს შეასრულებს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისთვის.

42. 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „ბერიაშვილი, ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

• კანონის უკუძალა

ასევე მნიშვნელოვანია, თუ როგორ განიმარტა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით დაცული უფლება. კერძოდ, საუბარია კანონის უკუძალაზე. 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საბაური და მანია პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლოში მოსარჩელები დავობდნენ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის შესახებ.

სადავო ნორმის მე-2 წინადადების მიხედვით, „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს“. პრაქტიკაში, ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში, სისხლის სამართლის კანონს ენიჭებოდა უკუძალა. სადავო შემთხვევებში, საკითხი ეხებოდა დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლას და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობას. საბაურის შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის, სსკ-ის მიხედვით შესაძლებელი იყო დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა, ხოლო განაჩენის გამოტანის მომენტისთვის, ასეთ შესაძლებლობას, კანონი აღარ ითვალისწინებდა. სააპელაციო სასამართლომ უკუძალით გამოიყენა პირობითი სასჯელის შესახებ კანონის ახალი ვერსია და გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლის თაობაზე. სხვა ორ შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენის მომენტში არსებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა, ამ ვადის გასვლამდე გაიზარდა და მოსარჩელეთა მიმართ გამოყენებული იქნა კანონის ახალი ვერსიით დადგენილი გაზრდილი ხანდაზმულობის ვადები. ასეთი პრაქტიკის შესაძლებლობას იძლეოდა სადავო დებულებაში მხოლოდ „სასჯელის“ შესახებ მითითება, პრაქტიკით თუ ახალი ნორმა პირდაპირ არ აწესებდა ან ამკაცრებდა სასჯელს, ენიჭებოდა უკუძალა. კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილით უკუძალით კანონი ვერ იმოქმედებდა თუ ის ამსუბუქებდა (ამძიმებდა) ან აუქმებდა (აწესებდა) პასუხისმგებობას (ზოგადად). მოსარჩელები უთითებდნენ, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლში მითითებული „პასუხისმგებლობა“ იყო უფრო მეტის მომცველი ვიდრე სსკ-ის მე-3 მუხლში მითითებული „სასჯელი“ პასუხისმგებლობა მოიცავდა როგორც სასჯელს ასევე სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებულ წამახალისებელ და სხვა ღონისძიებებს-პირობით სასჯელს და პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადებსაც. ვინაიდან, სსკ-ის სადავო დებულება ზღუდავდა და ავიწროებდა კონსტიტუციით დაცულ უფლებას, ის წინააღმდეგობაში მოდიოდა კონსტიტუციასთან და ცნობილი უნდა ყოფილიყო არაკონსტიტუციურად. მოპასუხემ, პარლამენტის წარმომადგენელმა, სადავო დებულება, სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ნაწილი, განმარტა ფართოდ და აღნიშნა, რომ სადავო დებულება პრაქტიკაში გამოიყენება არასწორად, რაც ვერ იქნებოდა ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი. საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე ფართოდ განმარტა სადავო დებულება და დაეთანხმა მოპასუხე მხარეს, (არ დააკმაყოფილა მოთხოვნა). საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას

არ დაეთანხმა საქმის განმხილველი მოსამართლე, ქალბატონი ქეთევან ერემაძე, რომელმაც განსხვავებულ აზრში, თანმიმდევრულად და დეტალურად ჩამოაყალიბა განსხვავებული აზრის მოტივაცია. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან ერემაძემ, გაიზიარა მოსარჩელეთა მოტივაცია და განმარტა, რომ კონსტიტუციაში მითითებული „პასუხისმგებლობა“ და სსკ-ის სადავო დებულებაში მითითებული „სასჯელი“, არ იყო იდენტური ცნებები და შესაბამისად, სადავო დებულება ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილს.

21-ე მუხლიდან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებანი:

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად:

- 1. „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების ვაუქშება.*
- 2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის, დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.*
- 3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევა, დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუღებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სთანადო ანაზღაურებით“⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმეზე „ვანო სისაური, თარიმან მალრაძე და ზურაბ მჭედლიძეილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ (1999 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება), დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დარღვევის თაობაზე და საინტერესოდ განმარტა კონსტიტუციის დებულებები. მოსარჩელები მოითხოვდნენ, არაკონსტიტუციურად ცნობილიყო საქართველოს მთავრობის 1991 წლის 7 მარტის 131 „გ“ განკარგულება, რომლის მიხედვით, ცეკავშირის სისტემაში მყოფი ბაზრები, ბალანსიდან ბალანსზე უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს.*

მოსარჩელები აღნიშნავდნენ, რომ ცეკავშირი წარმოადგენს იმ სისტემას, რომლის სამეურნეო საქმიანობა დაფუძნებულია საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე, ბაზარი კი ერთ-ერთი რგოლია, რომლითაც კოოპერაცია ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდას, მათ გაცვლასა და რეალიზაციას. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის 1991 წლის 7 მარტის განკარგულებით, ცეკავშირის სისტემიდან საკოლმეურნეო ბაზრები საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს ისე გადაეცა, რომ მოსარჩელეთა ინტერესები არ გაუთვალისწინებიათ.

43. საქართველოს კონსტიტუცია;-1995წ.

მოსარჩელეთა აზრით, სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. შესაბამისად, მოსარჩელები მოითხოვდნენ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 7 მარტის განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას. მოსარჩელები მოითხოვდნენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა ბაზარი (გარდა იმ ბაზრებისა, რომლებიც პრივატიზირებული ან აქციონირებულია), უსასყიდლოდ დაბრუნებოდა საქართველოს ცეკავშირს, მის პირვანდელ მესაკუთრეს. მოპასუხე, საქართველოს პარლამენტი, არ დაეთანხმა მოსარჩელებს. აღნიშნულ საქმეზე, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ „1987 წელს, საკოლმეურნეო ბაზრების გადაცემისას, სახელმწიფომ, როგორც ძირითადმა მესაკუთრემ, გამოხატა თავისი ნება და კოოპერაციული საკუთრების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საკოლმეურნეო ბაზრები ბალანსიდან ბალანსზე გადასცა ვაჭრობის სამინისტროს უსასყიდლოდ, ე.ი. საკუთრების უფლებით. ამრიგად, შეიცვალა საკუთრების ფორმა – სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე წარმოიქმნა კოოპერაციული საკუთრება და განისაზღვრა ბაზრების სამართლებრივი სტატუსიც. ცეკავშირის, როგორც ახალი მესაკუთრის გამგებლობიდან ქონების უკან გამოთხოვა, დაიშვებოდა მხოლოდ კანონით დადგენილი წესით. ამის საწინააღმდეგოდ, საქართველოს რესპუბლიკის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა, 1991 წლის 7 მარტს, მიიღო ერთპიროვნული განკარგულება, რომლის მიხედვით, საქართველოს ცეკავშირის საკოლმეურნეო ბაზრები, საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს გადაეცა.

კანონმდებლობის დარღვევით მიღებულმა ერთპიროვნულმა აქტმა (განკარგულებამ), ფაქტობრივად, ძალადაკარგულად გამოაცხადა იმავე საკითხზე საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის უმაღლესი ორგანოს მიერ კოლეგიალურად გამოცემული აქტი“⁴⁴(დადგენილება).

სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთ პირობებში ირღვეოდა მოსარჩელების, როგორც სამომხმარებლო კოოპერაციის მეპაიე წევრების, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული საკუთრების უფლება და შესაბამისად, დააკმაყოფილა მათი სარჩელი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაღიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (2007 წლის 2 ივლისი), არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა. კონსტიტუციური სარჩელით, მოსარჩელები ითხოვდნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მეორე ნაწილის სიტყვების, „ან კანონიერ მფლობელობაში“ არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით. მოსარჩელე განმარტავდა, რომ დაირღვა მისი საკუთრების უფლება.

44. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „კანონის სასაურთი, თარიღიან მადრაძე და ზურაბ მჭედლიძევილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, - 23.02.1999წ.

537947 ლარის სხვადასხვა დასახელების საქონელი მოსარჩელემ ჩააბარა გადამზიდველ ფირმას თურქეთის რესპუბლიკაში. ფირმა ვალდებული იყო, საქონელი საქართველოში ჩამოეტანა. მძლომა, საზღვრის გადაკვეთისას, ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რისთვისაც ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 აპრილის განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, მძლოლს სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთმევა მის კანონიერ მფლობელობაში არსებული დანაშაულის საგანი – 537947 ლარის საბაჟო ღირებულების სხვადასხვა დასახელების საქონელი, რომელიც მოსარჩელეთა კუთვნილ ქონებას წარმოადგენდა. მოსარჩელეთა აზრით, სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს, რომლის თანახმად, საკუთრების ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობისას და სათანადო ანაზღაურებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით, მიუხედავად იმისა რომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციური არ არის, მისი შინაარსის დეტალური ანალიზი ნორმის სრულყოფის აუცილებლობაზე მიუთითებს. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც საჯარო ინტერესის მიღწევა ხდება კერძო ინტერესში ინტენსიური ჩარევით, კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით აუცილებელია კონკრეტული უფლების სრულფასოვანი დაცვის ყველა აუცილებელი საკანონმდებლო ბერკეტის შექმნა. სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან შესაბამისობის მიუხედავად, კანონმდებელი არ თავისუფლდება ვალდებულებისგან, უზრუნველყოს კანონმდებლობის სრულყოფა შესაბამისი კონსტიტუციური და სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით. ამასთან, კონკრეტული საჯარო მიზნების ეტაპობრივად მიღწევის პარალელურად, კანონმდებელი უნდა ზრუნავდეს ალტერნატიული მექანიზმების შემოღებაზე, რაც შესაძლებელს გახდის იმავე მიზნის მიღწევას ადამიანის უფლებათა უფრო უმნიშვნელო შეზღუდვის სარჯზე.

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ, მიუხედავად იმისა რომ არ დააკმაყოფილა მოქალაქეების: დავით ჯიმშელიევიშვილის, ტარიელ გვეტაძისა და ნელი დალაღიშვილის 384-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს ეთხოვა, მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის სრულყოფა.

აღსანიშნავია, რომ უფრო ადრინდელ გადაწყვეტილებებში, საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტს სთხოვდა ამა თუ იმ ნორმის დახვეწას ან ურთიერთობის დარეგულირებას, მაგრამ ბოლოდროინდელი ტენდენცია ამ კუთხით აღარ

განვითარებულა და საკონსტიტუციო სასამართლო, ასეთ რეკომენდაციებს და „მითითებებს“ პარლამენტს უკვე აღარ აძლევს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2001 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით, საქმეზე „ბარამიძე და ციმაკურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დარღვევის თაობაზე.

მოსარჩელები ვალიდა ბარამიძე და ნათელა ციმაკურიძე მოითხოვდნენ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით. მოსარჩელეთა აზრით, სადავო აქტით ირღვეოდა კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული მათი საკუთრების უფლება, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი მოკლებულნი იყვნენ საშუალებას, გამოეყენებინათ თავიანთი საკუთრება. წლების განმავლობაში, მათ სახლებში ჰყავდათ მდგმურები, რომელთაც სადავო კანონმა მოსარგებლის სტატუსი მიანიჭა და აქედან გამომდინარე, იზღუდებოდა მათი საკუთრების უფლება. მოსარჩელეთა თქმით, სადავო კანონის პირველ მუხლს, სამოქალაქო კოდექსის საწინააღმდეგოდ, შემოაქვს ქვეყის ახალი წესები. კანონს მინიჭებული აქვს უკუძალა, იგი არეგულირებს ისეთ ურთიერთობებს, რომელიც მოწესრიგებული იყო ადრე მოქმედი კანონმდებლობით, რითაც მნიშვნელოვნად გაუარესდა საცხოვრებელი სადგომით მესაკუთრეთა მდგომარეობა. სადავო ნორმამ შემოიტანა კანონმდებლობისთვის უცნობი ცნება „მოსარგებლე“, რომელიც ეწინააღმდეგებოდა და აკნინებდა მესაკუთრის ცნებას. სადავო ნორმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მესაკუთრებს ფაქტობრივად, ერთმოდროდ ქონება. საკონსტიტუციო სასამართლომ, ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, მე-5 მუხლი და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.⁴⁵

კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება, საკონსტიტუციო სასამართლომ დღემდე განმარტა სხვადასხვა გადაწყვეტილებებში, რაც წინაპირობა იქნება მომავალი გადაწყვეტილებებისთვის. არანაკლებ საინტერესოა, თუ როგორ განმარტებებს გააკეთებს სასამართლო მომავალში, ამ უმნიშვნელოვანესი უფლების შესახებ ახალ გადაწყვეტილებებში.

45. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო; 2001 წლის 7 ივნისი №111/03 გადაწყვეტილება

კონსტიტუციის მე-18 მუხლიდან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები:

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად:

- 1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია;*
- 2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე;*
- 3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიზნადით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მოძღვენი 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების; ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს;*
- 4. ამოღებულია (27.12.2006 4136)*
- 5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს, დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს;*
- 6. დანაშაულის ჩადენაში, ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა - 9 თვეს;*
- 7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება”. 46*

კონსტიტუციის მე-18 მუხლიდან დაკავშირებით მიღებული პირველი გადაწყვეტილება არის 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „ბერიაშვილი ჯიმშერიშვილი და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელები ამ საქმეში დავობდნენ, რომ სსსკ-ის შესაბამისად, პირს დაკავებიდან პირველი 12 საათის განმავლობაში, დაცვის უფლება გარანტირებული არ ჰქონდა, ადვოკატის მოწვევა ხდებოდა მხოლოდ 12 საათის შემდეგ, რაც დაკავებულ პირს დაღვინილებით „ცნობდნენ ეჭვმიტანილად“.

პირველი 12 საათის განმავლობაში, მოსარჩელეთა მოსაზრებით, ირღვეოდა პირისთვის კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ, არაკონსტიტუციურად ცნო სადავო დებულებები ამ ნაწილში და განმარტა, თუ რა არის დაკავება და დაცვის უფლება კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის კონტექსტში:

46. საქართველოს კონსტიტუცია-1995წელ

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, „დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს, დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დანშარება, რაც უნდა დაემაყოფილდეს“. აქედან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და მიეცეს საშუალება, ისარგებლოს აღნიშნული უფლებებით, მათ შორის უფლებით, მოითხოვოს დამცველის დანშარება. პირის დაკავებისთანავე, დამცველის მოწვევის უფლებას ითვალისწინებს ევროპის მრავალი ქვეყანა.

სასამართლო კოლეგია ასევე აღნიშნავს, რომ პირი დაკავებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც დაკავებისთვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირი, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე, შეუზღუდავს ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებას.⁴⁷

საკონსტიტუციო ამ განმარტებამ, მომავალშიც გამოიქვანა სამართალდამცვე ორგანოთა მიერ თვითნებობის შესაძლებლობა და ცნება „დაკავება“ განიმარტა ამომწურავად. იმავე საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე გააკეთა განმარტება მე-18 მუხლის მე-6 ნაწილთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების მიუხედავად, მომავალში ეს პრეცედენტი თვითონ პარლამენტმა შეცვალა და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოიყვანა სსსკ-ის 162-ე მუხლი.

მოთხოვნის ამ ნაწილში, მოსარჩელები დავობდნენ, რომ სსსკ 162-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებული შესაძლოა, 9 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ყოფილიყო პატიმრობაში იმის გათვალისწინებით, რომ მას შემდეგ, რაც პირის საქმე წარმართებოდა სასამართლოში არსებითად განსახილველად და ის განდებოდა „განსასჯელი“, ათვლას იწყებდა ახალი ვადები, რაც არსებითად აღემატებოდა კონსტიტუციის მე-18 მუხლით დადგენილ 9 თვიან ვადას.

მოსარჩელეთა მტკიცებით, „ბრალდებული“ არის პირი ბრალდების წაყენებიდან (+ ეჭვმიტანილად დაკავების 48 საათიანი ვადა), პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მის მსჯავრდებამდე და არა სასამართლოში საქმის გადაცემამდე, რის გამოც სსსკ 162-ე მუხლის ის დებულებები, რომლებიც „განსასჯელისთვის“ ახალ ვადებს აწესებდა, ცნობილი უნდა ყოფილიყო არაკონსტიტუციურად.

საკონსტიტუციო სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელებს და განმარტა: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი წყვეტს მხოლოდ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის ვადებს, იგი არ შეიცავს განსასჯელის პატიმრობის ვადას მისთვის სასამართლოს მიერ კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებამდე.

47. 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „ბერაიფილი ჯიმპერიფილი და სანალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

სასამართლო კოლეგია მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საფესებით მართებულად განასხვავებს ერთმანეთისგან ბრალდებულსა და განასჯელს, თუმცა შესაძლებელია, მათ საერთო ჰქონდეთ ძირითადი საპროცესო უფლებები. მართალია, ამ შემთხვევაში შეიძლება იგულისხმებოდეს ერთი და იგივე ფიზიკური პირი, მაგრამ სწავლადან სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო და აქედან გამომდინარე, აგრეთვე ამ ფიზიკური პირის სტატუსი.⁴⁸

ამ გადაწყვეტილების შემდეგ, სსსკ 162-ე მუხლში შეტანილმა ცვლილებებმა (ბოლო ცვლილება 2006 წლის 29 დეკემბერი), იმგვარად ჩამოაყალიბეს ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა, რომ დაკავებიდან პირის მსჯავრდებამდე, საერთო ვადა არ აღემატება 9 თვეს და ბრალდებული არის პირის სტატუსი მის მსჯავრდებამდე, მიუხედავად იმისა, საქმე იმყოფება წინასწარ გამოძიებაში თუ სასამართლოში არსებით განსახილველად. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს იმდროინდელმა განმარტებამ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილისა, დიდი ხნით ვერ იმოქმედა და თვითონ საკანონმდებლო ორგანომ მოიყვანა სსსკ-ი კონსტიტუციურ ნორმასთან შესაბამისობაში.

ასევე, მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის კონტექსტში იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „სახალხო დამცველი პარლამენტის წინააღმდეგ“, 2003 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებაში მოსარჩელე დავობდა, რომ მე-18 მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი 9 თვიანი პატიმრობის ვადაში, სსსკ-ის სადავო დებულებების წყალობით, არ შედიოდა სს საქმის მასალების გაცნობის დრო, რაც იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ პირი 9 თვეზე მეტი ხნით ყოფილიყო წინასწარ პატიმრობაში, რის გამოც მოსარჩელე მოითხოვდა არაკონსტიტუციურად ცნობილიყო სსსკ-ის სადავო დებულებები კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილთან მიმართებით. ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა პოზიცია და არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის სადავო დებულებები იმის გათვალისწინებით, რომ კონსტიტუციით დადგენილი 9 თვიანი ვადა ამომწურავი იყო და მისგან გადახვევა დაუშვებელი იქნებოდა. საქმეზე, „გ. ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელზეც სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება 2005 წლის 4 თებერვალს მიიღო, მხარე დავობდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის პირველი პუნქტით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა იყო აუცილებელი.

ოქმის ადგილზე შედგენა იყო შეუძლებელია, „დამრღვევი პოლიციის მუშაკმა ან სახალხო რაზმეულმა, ამ მიზნით შეიძლება მიიყვანოს პოლიციაში ან ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის შტაბში“.

48. 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „ბერიაშვილი ჯიმშერიაშვილი და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

განსხვავებით სადავო ნორმისაგან, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი იმპერატიულად ადგენდა, რომ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია განხორციელდეს ამისთვის საგანგებოდ უფლებამოსილი სუბიექტის მიერ, რომლის სტატუსი, უფლებანი და მოვალეობანი განსაზღვრული უნდა იქნეს კანონმდებლობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებური დაკავების შესაძლებლობა, რადგან არც მოცემული კოდექსით და არც საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტით, არ არის განსაზღვრული, თუ რა სამართლებრივი სტატუსის მქონეა სახალხო რაზმი. მოსარჩელე თვლიდა, რომ სადავო მუხლის აღნიშნული დებულება, არაკონსტიტუციური იყო და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის 1-ლ და მე-3 პუნქტებს. მოსარჩელე კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნავდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის მეორე დებულება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტს, რადგან სადავო მუხლის თანახმად, პირი შეიძლება დაკავებული იქნეს „სამ დღე-ღამემდე, ამის შესახებ პროკურორისთვის წერილობითი შეტყობინებით“ ან „ათი დღე-ღამის ვადით, პროკურორის სანქციით“, ხოლო საქართველოს კონსტიტუციით, ნებისმიერი დაკავებული პირი, დაკავებიდან 24 საათის გავლამდე, სასამართლოს უნდა წარედგინოს. კონსტიტუციის თანახმად კი, პროკურორი არ არის უფლებამოსილი თანამდებობის პირი, რომელსაც შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება პირის 24 საათზე მეტი ვადით დაკავების შესახებ. მოსარჩელეს, ასევე არაკონსტიტუციურად მიაჩნდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის ის დებულება, რომლითაც წვრილმანი ხულიგნობის შემთხვევაში და კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დამრღვევები, შეიძლება მანამდე დააკავონ, სანამ უფლებამოსილი ორგანო არ განიხილავს მათ დარღვევას და არ შეუფარდებს სახდელს, რაც საშუალებას იძლეოდა, პირი დაკავებული ყოფილიყო ორ დღე-ღამეზე მეტი დროით მანამ, სანამ წარედგინება სასამართლოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს სადავო მუხლი მიაჩნდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტთან შეუსაბამოდ. მოსარჩელე ასევე დავობდა, რომ არაკონსტიტუციური იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის ის დებულებაც, რომლის თანახმად, „ადმინისტრაციული დაკავების დრო გამოიანგარიშება ოქმის შესადგენად დამრღვევის მიყვანის მომენტიდან, ხოლო მთვრალ მდგომარეობაში მყოფი პირის, – მისი გამოფხიზლების მომენტიდან“, რადგან საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია დროის ის ზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიც, შესაძლებელია, პირი დაკავებული იქნეს მანამ, სანამ მას წარადგენენ სასამართლოს წინაშე. მოსარჩელე თვლის, რომ ყოველგვარი მიზეზი, რომელიც აჩერებს ან გარკვეული დროით გამოირიცხავს დაკავებული პირის მიმართ მოცემული დროის დინებას, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებს.

ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლი, რომლის თანახმად, „ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და ღოკუმენტების ჩამორთმევა დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან“, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის 1-ულ, მე-2, მე-7 და 42-ე მუხლის პირველ პუნქტებს, რადგან სადავო ნორმით დაკავებულ პირს, ეძლევა უფლება, დაკავების კანონიერება გაასაჩივროს მხოლოდ პროკურორთან ან ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან). საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 246-ე მუხლით კი, განსაზღვრულია ის თანამდებობის პირები და ორგანოები, რომელთაც აქვთ ადმინისტრაციული დაკავების უფლება. მოსარჩელე თვლიდა, რომ სადავო ნორმით, მას არა ჰქონდა უფლება, მოცემული გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა სასამართლოს გზით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელე გიორგი ჩხეიძის კონსტიტუციური სარჩელი. სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ „სახალხო რაზმეული ფაქტობრივად არ არსებობს, სადავო ნორმა ძალაშია, მოქმედებს და იძლევა გაუთვალისწინებელ შემთხვევებში პირის თვითნებური დაკავების საშუალებას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლს, რომლის თანახმად, „დაპატიმრების დაკავება, დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ“. ვინაიდან, დღეისთვის, საქართველოში მოქმედი არანაირი სამართლებრივი აქტი არ არეგულირებს თუ რას წარმოადგენს „სახალხო რაზმეულის“ ინსტიტუტი და არ არის დარეგულირებული მისი კანონით გათვალისწინებული უფლებამოვალეობანი, ეწინააღმდეგება კონსტიტუციის აღნიშნულ მუხლს, რომლის თანახმად, ადამიანის დაკავება უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, საამისოდ საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლი, იმპერატიულად ადგენს ერთადერთ უფლებამოსილ სუბიექტს, სასამართლოს მიერ პირისთვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერების საკითხის განხილვის ვადებსა და პროცედურებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სასაზღვრო რეჟიმის დამრღვევი პიროვნების დასადგენად, მისი 3 დღე-ღამით, ხოლო პროკურორის სანქციით კი 10 დღე-ღამით დაკავება, სრულიად მოკლებულია სასამართლო კონტროლს და ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-18 მუხლს, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის უფლების მქონე სუბიექტად მიიჩნევს მხოლოდ სასამართლოს და დაუშვებლად მიიჩნია, მისი გადაწყვეტილების გარეშე, მსგავსი მოქმედების ჩატარება. სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნას ეწინააღმდეგება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის ის დებულებაც, რომლის თანახმად, „წვრილმანი ხულიგნობის შემთხვევაში და კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების

წესის დამრღვევები შეიძლება დაკავებულები იქნენ მანამ, სანამ უფლებამოსილი ორგანო არ განიხილავს მათ დარღვევას და არ შეუფარდებს სახდელს“. სასამართლო აღნიშნავს, რომ რადგან 262-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა საქმეების განხილვის ვადები, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევა, განიხილება (174') სამი დღის ვადაში. სადავო მუხლი იძლევა შესაძლებლობას, რომ პირი დაკავებულ იქნეს 48 საათზე მეტი დროით, სანამ იგი წარედგინება სასამართლოს, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნებს, ხოლო რაც შეეხება წვრილმანი ხულიგნობის შემთხვევას, სასამართლო თვლის, რომ ამ შემთხვევაში, დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნები, რადგან ზემოაღნიშნული დარღვევისთვის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (166-ე მუხლი) თანახმად, წვრილმანი ხულიგნობა განიხილება 1 დღე-ღამის განმავლობაში.⁴⁹ „სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის (2/3/182,185,191) გადაწყვეტილების თანახმად, „პირი დაკავებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც დაკავებისთვის უფლებამოსილი პირი, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე, შეუზღუდავს ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებას“.

რაც შეეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლის კონსტიტუციურობას, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის 1-ელ, მე-2, მე-3 და მე-7 პუნქტებთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ნორმა, რომლის თანახმად, „ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და დოკუმენტების ჩამორთმევა დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან“, არ ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებულ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას“,⁵⁰ მიუთითა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში.

49. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: ვიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (2005 წლის 4 თებერვალი №2/1/263)

50. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის (2/3/182,185,191) გადაწყვეტილება:

კონსტიტუციის მე-19 მუხლიდან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები:

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის შესაბამისად: .

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება;

2. დაუშვებელია ადამიანის ღვენა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ;

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.⁵¹

საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე გააკეთა განმარტება კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ უფლებასთან მიმართებით.

2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: „გოგინაიშვილი პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკაყოფილა საკონსტიტუციო სარჩელი.

მოსარჩელე მოითხოვდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს კანონის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

მოსარჩელეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაეკისრა 2001 წლის 1 აპრილს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ ერთ-ერთ გადაცემა „60 წუთში“ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა. სასამართლომ, გადაწყვეტილების გამოტანისას, იხელმძღვანელა სადავო ნორმებით, რომლის თანახმადაც, „პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით, მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას, ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება“. მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ აღნიშნული მუხლით ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც „დაუშვებელია ადამიანის ღვენა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო. აგრეთვე, მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ“. მოსარჩელე დავობდა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება ნიშნავს არა მარტო უფლებას, თავისუფლად გამოხატო საკუთარი აზრი, არამედ უფლებასაც, შეიკავო თავი ნებისმიერი შენთვის არასასურველი აზრის გამოხატვისაგან. ის ინფორმაცია, რომლის უარყოფაც დაევალა პირს, შეიძლება მისთვის კვლავ ერთადერთ ჭეშმარიტებას წარმოადგენდეს. სადავო ნორმა კი, კონსტიტუციის მე-19 მუხლის საპირისპიროდ, ავალებს მას, მისი ნების საწინააღმდეგოდ, გაავრცელოს ან/და გამოხატოს აზრი.

51. საქართველოს კონსტიტუცია-1995წ

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე აკაკი გოგიანიშვილის კონსტიტუციური სარჩელი.⁵² ამავე გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტს ეთხოვა, ემსჯელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული „ცნობების“ სრულყოფაზე მისი დაკონკრეტების თვალსაზრისით.

კონსტიტუციის 30-ე მუხლიდან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები:

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად:

1. შრომა თავისუფალია;

2. სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით;

3. შრომითი ურთიერთობის მოქმედსებებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე, სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ;

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით.⁵³

ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 30-ე მუხლით დაცულ უფლებასთან მიმართებით გამოიტანა, არის 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

აღნიშნული გადაწყვეტილება არა მხოლოდ კონსტიტუციის 30-ე მუხლის ნაწილშია საინტერესო, ეს გადაწყვეტილება ნათელი მაგალითია, თუ რა სამართლებრივი ვითარებების ფონზე უწევდა სასამართლოს მუშაობის დაწყება და როგორი იყო პირველი გადაწყვეტილებების სულისკვეთება. მოსარჩელე დავობდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის ორგანული კანონის 86-ე მუხლის I პუნქტის შესახებ, რომლის მიხედვითაც, რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოების მოსამართლეებს, გარდა იმ მოსამართლეებისა, რომლებიც დანიშნული ან არჩეული არიან, ამ კანონის შესაბამისად, უფლებამოსილება 1998 წლის 1 მაისს უნდა შეწყვეტოდათ. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი ეხება შრომის თავისუფლებას და შრომითი უფლებების დაცვის საკითხებს.

52. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2004 წლის 11 მარტის №241 გადაწყვეტილება

53. საქართველოს კონსტიტუცია., 1995წ.

ამ მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს არა შრომის უფლებას, შრომის თავისუფლებას, ე.ი. თავისუფალი შრომის უფლებას. შრომა თავისუფალია – ეს ნიშნავს, რომ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო. შრომა თავისუფალია ნიშნავს იმასაც, რომ სახელმწიფო უკვე აღარ იღებს მოქალაქეთა შრომითი დასაქმების ვალდებულებას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ უარი თქვას უკვე დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების დაცვაზე. ე.ი. სახელმწიფო უარს ამბობს მოქალაქეთა შრომითი დასაქმების ვალდებულებებზე, მაგრამ კისრულობს ვალდებულებას, დაიცვას დასაქმებულ მოქალაქეთა შრომითი უფლებები“.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა: „რომ მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ სარჩელზე უარის თქმა, საფუძველი განდება მომავალში უკანონო პრეცედენტის შექმნისათვის, რაც დაუშვებელია, თუნდაც იმ ახლადარჩეული მოსამართლეების უფლებების დასაცავად, რომელთა მიმართ სპეციალისტმადა მოწვეულმა, ბატონმა ალექსანდრე შუშანაშვილმა უკვე განაცხადა, რომ ხელისუფლება უფლებამოსილია, თუ საჭიროდ დაინახავს, მოკლე ხანში ისევ მთელს სასამართლო კორპუსს შეუწყვიტოს უფლებამოსილება. სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მოსამართლეთა საყოველთაო დათხოვნა არ უნდა ხდებოდეს პოლიტიკური მოსაზრებით, ხელისუფლების თვითნებობით ან ხელისუფლების შეცვლის მოტივით. მით უფრო, ბევრი არსებითი მნიშვნელობის კანონი არ არის მიღებული ან არ ამოქმედებულა და არ არის გამორიცხული, რომ ხვალ - ზევ ისევ დადგეს საკითხი მოსამართლეთა კორპუსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ; სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს სპეციალისტის, ბატონ ალექსანდრე შუშანაშვილის დასკვნას იმის შესახებ, რომ სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ნაწილია და ეს უკანასკნელი, უფლებამოსილია, თავისი შეხედულებით, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება მოსამართლეებს: ჯერ ერთი, - თუ საკანონმდებლო ხელისუფლებას მიეცემა უფლება თავისი შეხედულებით ნებისმიერ დროს დაითხოვოს მოსამართლეთა მთელი კორპუსი, ე.ი. სასამართლო ხელისუფლება, მაშინ არარაობად იქცევა საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის ძალით „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით,“ რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება დანაწილებულია სამ შტოდ: საკანონმდებლო ხელისუფლება, აღმასრულებელი ხელისუფლება და სასამართლო ხელისუფლება. ხელისუფლების ამ სამი შტოს კომპეტენცია ისე უნდა იყოს რეგლამენტირებული კონსტიტუციით, რომ ხელისუფლების არც ერთ შტოს არ უნდა შეეძლოს ხელისუფლების მეორე შტოს ფუნქციების მითვისება და მით უმეტეს, ხელისუფლების არც ერთ შტოს არ უნდა შეეძლოს ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილების ვადა ხელისუფლების მეორე შტოს; მეორე - საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში და არა თავისი შეხედულებების მიხედვით. საკანონმდებლო ხელისუფლების

მიერ სასამართლო ხელისუფლებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, მაშინ იქნებოდა კანონიერი, თუ ასეთ უფლებას საკანონმდებლო ხელისუფლებას მიანიჭებდა კონსტიტუცია”.⁵⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციური სარჩელი და ”საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 8-ე მუხლის პირველი პუნქტი ცნობილი იქნა არაკონსტიტუციურად. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ კატეგორიული და პრინციპული მსჯელობით ფართოდ განმარტა კონსტიტუციის 30-ე მუხლი და საკონსტიტუციო სარჩელი დააკმაყოფილა. ამ გადაწყვეტილებამ, ხელშესახები შედეგები ვერ მოიტანა და მოსამართლეთა კორპუსი სრულად გამოიცვალა იმ ეტაპზე. ხოლო მოგვიანებით, 2004 წელს, იგივე განმეორდა და კიდევ ერთხელ გამოიცვალა მოსამართლეთა ის კორპუსი, რომელიც 1998 წელს იქნა დანიშნული. ამ პრეცედენტმა, საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტზე დადებითი გავლენა ვერ მოახდინა და შეიძლება ითქვას, დააქინა მისი ავტორიტეტი ხელისუფლების სხვა შტოების სასარგებლოდ.

კონსტიტუციის მე-14 მუხლთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები:

კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად:

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“

კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით, 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საქმეზე „ჯანელიძე, უბერი, ლავგილავა და თოდრია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელები დავობდნენ იმის შესახებ, რომ კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ სადავო დებულებები არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილ უფლებას. სადავო ნორმით, თუ პირი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ შეიცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, ის დაკარგავდა დევნილის სტატუსს, რის შემდეგაც ის ავტომატურად დაკარგავდა სახლემწიფოს მიერ გათვალისწინებულ სოციალურ და სხვა გარანტიებს. საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციის მე-14 მუხლის ადექვატური განმარტებისთვის, მოიშველია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენცია და ევროსასამართლოს პრეცედენტი და მიუთითა:

54. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო-აგონდილ ქაქუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“(1998 წლის “3” ნოემბრის გადაწყვეტილება

„კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა იმ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბრად აღიარებას და დაცვას, რომელიც იმყოფება თანაბარ პირობებში და კანონით განსაზღვრული საკითხის მიმართ აქვს ადეკვატური დამოკიდებულება.

აღნიშნული პრინციპი მოიცავს ხელისუფლების საკანონმდებლო საქმიანობის სპექტრს, რათა მოხდეს თანაბარ პირობებსა და გარემოებებში მყოფი ინდივიდებისათვის თანაბარი პრივილეგიების მინიჭება და თანაბარი პასუხისმგებლობის დაკისრება. განსხვავებული საკანონმდებლო რეგულირება, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში არ ჩაითვლება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევად. კანონმდებელს უფლება აქვს, კანონით განსაზღვროს განსხვავებული პირობები, მაგრამ ეს განსხვავება უნდა იყოს დასაბუთებული, გონივრული და მიზანშეწონილი. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დიფერენცირებულობის თანაბარი ღონე ერთსა და იმავე პირობებში მყოფი სუბიექტებისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევის დადგენისას, ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით: მე-14 მუხლის დარღვევას ადგილი აქვს მაშინ, როცა სახეზეა: ა) დიფერენცირებული დამოკიდებულება ერთნაირი შემთხვევების მიმართ, გონივრული და ობიექტური საფუძვლების გარეშე და ბ) არ არის დაცული პროპორციულობა მისაღწევ მიზანსა და მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებს შორის“.⁵⁵

ამ შემთხვევაშიც, საკონსტიტუციო სასამართლომ იხელმძღვანელა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკით, რათა უფრო ნათლად გადმოეცა კონსტიტუციის მე-14 მუხლის ნამდვილი აზრი. „⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - უტა ლიპარტია, ვიორგი ხმელიძე, ელისო ჯანაშია და გოჩა დაღუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2005 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებაში ასევე განმარტა კონსტიტუციის მე-14 (და 39) მუხლები. მოსარჩეველები, რომლებიც იყვნენ ქ. თბილისის და ქ. ფოთის მცხოვრებნი, დავობდნენ რომ „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტით.“⁵⁷

55. 2003 წლის 7 ნოემბერის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „ჯანელიძე, უბერი, ლაგვილაია და თოდრაი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

56. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2/7/219., 2003 წლის 7 ნოემბერი

57. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (№, საქართველოს მოქალაქეები - უტა ლიპარტია, ვიორგი ხმელიძე, ელისო ჯანაშია და გოჩა დაღუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” გადაწყვეტილება (1/2/213,243 2005 წლის 16 თებერვალი)

მოსარჩევეები დავობდნენ, რომ მათ ერდევოდათ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებული უფლება. იმის გამო, რომ სადავო დებულებებით, თბილისსა და ფოთში სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, ქალაქის მერი ინიშნებოდა პრეზიდენტის მიერ და მათ არ ჰქონდათ უფლება, უშუალოდ აერჩიათ მერი. „თბილისის მოქალაქეებს არა აქვთ უფლება, აირჩიონ მერი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე“, – დავობდა მოსარჩევე. საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩევეთა მოთხოვნა და არაკონსტიტუციურად ცნო სადავო დებულებები. კონსტიტუციის მე-14 მუხლით, ყველა ადამიანი, მათი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, თანასწორია კანონის წინაშე. სასამართლომ მიუთითა: „კანონის წინაშე უთანასწორობა გამოიხატება იმით, რომ ქალაქ თბილისსა და ქალაქ ფოთში მცხოვრებ ადამიანებს, მათ შორის – მოსარჩევეებსაც, სადავო ნორმების გამო არ შეუძლიათ თავ-თავიანთი მერის არჩევა მაშინ, როდესაც ასეთი უფლება მინიჭებული აქვს სხვა სათანადო ქალაქების მოსახლეობას.“

გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტება: საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის მე-2 თავით დაცულ უფლებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები, ყველა შემთხვევაში საინტერესო და მნიშვნელოვანია. თუ სასამართლო აკმაყოფილებს სარჩელს და არაკონსტიტუციურად ცნობს გასაჩივრებულ კანონს ან კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, ვითარება ნათელია. მაგრამ თუ სასამართლო სარჩელს არ აკმაყოფილებს, ასეთ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია სასამართლოს მსჯელობა და გადაწყვეტილება. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 25-ე მუხლის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით“. სასამართლოს გადაწყვეტილება არის ერთი მთლიანობა, ამიტომ როგორც დასკვნითი-სარეზოლუციო, ასევე აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილიც გადაწყვეტილებისა უნდა შესრულდეს. ანუ, თუ სასამართლო ნორმას სამოტივაციო ნაწილში აფასებს ისე, რომ ის განსხვავდება არსებული პრაქტიკისგან, მიუხედავად იმისა დაკმაყოფილდება თუ არა სარჩელი მომავალში, სასამართლოს მოტივაცია პრაქტიკაში გათვალისწინებული უნდა იყოს. მიუხედავად ამ მოტივაციისა, დღემდე განსხვავებული დამოკიდებულებები არსებობს საკითხთან მიმართებით. ნებისმიერ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება საინტერესოა და დადებით გავლენას ახდენს სამართლებრივ გარემოზე. საბოლოო ჯამში, შესაძლებელია ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის მე-2 თავთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული მსჯელობები და პრეცედენტები უნდა ჩაითვალოს კონკრეტული ნორმის ყველაზე უფრო კონსტიტუციასთან შესაბამის განმარტებად და ასევე, კონსტიტუციური ნორმის ყველაზე უფრო მეტად კომპლენტურ განმარტებად. კონსტიტუციის ნამდვილი აზრის დასადგენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები უმნიშვნელოვანესია.

იმედია, მომავალში, საკონსტიტუციო სასამართლო მნიშვნელოვან და პრაქტიკოსთვის საჭირო, კონსტიტუციასთან შესაბამის განმარტებებს გააკეთებს თავის გადაწყვეტილებებში.

პარალელები და განსწავლებები საქართველოსა და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის

გერმანიის სასამართლო სისტემა ჩამოყალიბებულია ქვეყნის კონსტიტუციით, რომლის მიხედვითაც, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, ჩვეულებრივი სასამართლოების და მიწების (ფედერაციის ერთეულები) სასამართლოების მიერ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სასამართლო ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

გერმანიის კონსტიტუცია, 1-19 მუხლებით, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ყველაზე მაღალ რანგში აყენებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და პირობით ამ უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს ბუნდესტაგის, ფედერალური მთავრობის ან ერთ-ერთი ფედერაციული მიწის მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე. თუ მოთხოვნა დასაბუთებული იქნება, საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომელი ძირითადი უფლებები უნდა შეიზღუდოს. ამასთან ერთად, აწესებს შეზღუდვის ხანგრძლივობის დროსაც. ეს მექანიზმი, კიდევ ერთი და თვალსაჩინო ნიშნულია კონსტიტუციური კონტროლისა. ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლით, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, ზღუდავს პრეზიდენტი და ამ გადაწყვეტილებას ამტკიცებს პარლამენტი. საინტერესო იქნებოდა, ამ კუთხით მომავალში მსჯელობა, – შესაძლებელია თუ არა, საქართველოსთვის დადებითი შედეგები მოიტანოს გერმანულმა მოდელმა.

მიმართვა გერმანული საკონსტიტუციო სასამართლოსადმი

საქართველოში, საკონსტიტუციო სასამართლოს გარდა, სამართლებრივად არ არსებობს სხვა ინსტანცია კონსტიტუციური კონტროლისა. ზოლო გერმანიაში, კონსტიტუციური კონტროლი ხორციელდება, პირველ რიგში, მიწების დონეზე და შემდგომ – ფედერალურ დონეზე. ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ფედერალურ დონეზე მიმართვამდე გამოყენებული და ამოწურული უნდა იყოს და ინიციატორს უკვე მიმართული უნდა ჰქონდეს მიწის დონეზე საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოსათვის და უნდა არსებობდეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ამდენად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს არა მარტო კონსტიტუციურ კონტროლს, არამედ ის ზედამხედველობას უწევს მიწების დონეზე განხორციელებულ კონსტიტუციურ კონტროლს. ეს თავისებურება გამომდინარეობს სახელმწიფოს ტერიტორიული, ფედერალური მოწყობის ფორმიდან. საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ფედერალიზმისაკენა მიმართულება აღებული, ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებამდე, კონსტიტუციური კონტროლის გერმანული მოდელის განხორციელება ნაადრევია.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო

1. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ქვეყნის სასამართლო სისტემაში

საკონსტიტუციო სასამართლოს, მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, გერმანიაში უწოდებენ „კონსტიტუციის უზენაეს მცველს“, რომელმაც კონსტიტუცია საჯარო ხელისუფლებისგან უნდა დაიცვას. საკონსტიტუციო სასამართლო არ არის სასამართლო რევიზიის ფუნქციით, რომელსაც სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმეების ფარგლებში მომხდარ ინციდენტებზე გამოაქვს გადაწყვეტილება. მისი კომპეტენციაა მხოლოდ საკონსტიტუციო სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა. გერმანიის სასამართლო სისტემა ჩამოყალიბებულია ქვეყნის კონსტიტუციით, რომლის მიხედვითაც, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, ჩვეულებრივი სასამართლოების და მიწების (ფედერაციის ერთეულები) სასამართლოების მიერ. ასე რომ, სასამართლო ხელისუფლება, ორგანიზაციულად განაწილებულია საკონსტიტუციო სასამართლოსა და ხუთ დამოუკიდებელ იუსტიციის შტოს შორის, რომელთა სათავეში დგას ფედერაციის უზენაესი სასამართლო. თითოეული შტო, თავის მხრივ, ისეთნაირად არის ორგანიზებული, რომ მასაც გააჩნია უმაღლესი ინსტანცია ფედერალურ დონეზე (აქ არ იგულისხმევა ზემოთნახსენები გერმანიის უზენაესი სასამართლო, რომელიც ხუთივე შტოს მეთვალყურეობს).

განსხვავებული ადგილი უჭირავს გერმანიაში საკონსტიტუციო სასამართლოს. მართალია, ის ითვლება სასამართლოს დამოუკიდებელ შტოდ, თუმცა ის ასევე არის ისეთივე უმაღლესი საკონსტიტუციო ორგანო, როგორცაა საკანონმდებლო ხელისუფლება (ბუნდესტაგი და ბუნდესრათი), ფედერაციის პრეზიდენტი და მთავრობა. საკონსტიტუციო სასამართლო დგას ამ ორგანოების, უფრო სწორად თუ ვიტყვით, ხელისუფლების ამ შტოების თანაბარ სიბრტყეზე და ითვლება დამოუკიდებელ საკონსტიტუციო ორგანოდ. საკონსტიტუციო ორგანოდ ითვლებიან ის ორგანოები, რომლებიც გათვალისწინებულია კონსტიტუციით და რომელთაც უმნიშვნელოვანესი ფუნქციების შესრულება აკისრიათ. ისინი არიან უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები. ერთ-ერთი ასეთი დამოუკიდებელი ორგანო სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოა.

2. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციები

ა) ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა

გერმანიის კონსტიტუცია, 1-19 მუხლებით, თითოეული ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ყველაზე მაღლა აყენებს. ძირითადი უფლებები ბოჭავს საკანონმდებლო ხელისუფლებას, აღმასრულებელ ხელისუფლებას და მართლმსაჯულებას, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. ამ უფლებების დაცვა მხოლოდ იქამდე არის უზრუნველყოფილი, სანამ მისი შეზღუდვის გამოყენება აუცილებელი არ გახდება დემოკრატიული წეს-წყობილებისთვის. თუ რა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს იმტომ, რომ არ მოხდეს ამ უფლებების ბოროტად გამოყენება დემოკრატიის საზიანოდ, ამ ჩამონათვალს, თავად ძირითადი კანონი ადგენს. ჩამოთვლილი უფლებების შეზღუდვა, შესაძლებელია მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. განაცხადი ძირითადი უფლებების შეზღუდვაზე, შეუძლიათ შეიტანონ ბუნდესტაგიდან, ფედერალური მთავრობიდან ან ერთ-ერთი ფედერაციული მიწის მთავრობის მიერ. თუკი განაცხადი დასაბუთებული იქნება, საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომელი ძირითადი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს. ამასთან ერთად, აწესებს შეზღუდვის ხანგძლივობის დროსაც.

საკანონმდებლო ნორმების არაკონსტიტუციურობის შემოწმება ანუ „ნორმათა კონტროლი“ (Normenkontrolle)

კანონმდებელი ფედერალურ დონეზეც და მიწების დონეზეც, შებოჭილია საკონსტიტუციო წესრიგით. საკანონმდებლო გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობა მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ ის კონსტიტუციით გათვალისწინებული საკანონმდებლო პროცესის მიხედვით არის მიღებული და ამ პროცესით გათვალისწინებული ყველა ფორმალური წესი დაცულია. კანონი/ მიღებული ნორმა როგორც მატერიალურად, ასევე შინაარსის მიხედვით უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. განსაკუთრებით არ უნდა დაირღვეს ინდივიდის ძირითადი უფლებები. ძირითადი კანონის 1 მუხლის მე-3 აბზაცში, ცხადად არის დაწესებული, რომ კანონმდებელი შებოჭილია ამ ძირითადი უფლებებით. საკონსტიტუციო სასამართლომ, თვალყური უნდა ადევნოს, რომ კანონმდებელმა, სამართლებრივი ნორმის გამოცემისას, დაიცვას კონსტიტუცია.

საკონსტიტუციო სარჩელების განხილვა

1. ზოგადი შესავალი

ყველა ადამიანს უფლება აქვს, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს საკონსტიტუციო სარჩელი, თუკი ის საჯარო ხელისუფლების მხრიდან, დარღვეულად ჩათვლის თავის ძირითად უფლებებს (კონსტიტუციის 1-19 მუხლების თანახმად) ან სხვა განსაზღვრულ უფლებებს (მუხ. 20 აბზაცი 4, მუხლები: 33, 38, 101, 103, 104), რომლებიც უთანაბრდებიან ძირითად უფლებებს. ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, თავისი კომპეტენციის ამ ფარგლებში, შეუძლია დაადგინოს საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნებისმიერი აქტის კონსტიტუციასთან შეუსაბამობა, გამოაცხადოს კანონი ძალადაკარგულად ან გააუქმოს სასამართლოს ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილება და საქმე შესაბამისი ქვემდებარეობის სასამართლოს უკან დაუბრუნოს. ასე რომ, საკონსტიტუციო სარჩელი, შეიძლება მიმართული იყოს საჯარო ხელისუფლების ნებისმიერი შტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ. სხვა გადაწყვეტილება, საკონსტიტუციო სარჩელის დროს, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეუძლია მიიღოს. მაგალითად, არც ზარალის ანაზღაურების, არც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაა შესაძლებელი. ცალკეულ მოქალაქეებს არ შეუძლიათ საკონსტიტუციო სარჩელით აღძრან მოთხოვნა კანონმდებლის განსაზღვრულ მოქმედებაზე. სასამართლო გადაწყვეტილების თაობაზე საკონსტიტუციო სარჩელი არ მიდის სრული მოცულობით გადასინჯვამდე, არამედ მხოლოდ დამატებით, განმეორებით გადახედვამდე კონსტიტუციურ-სამართლებრივ დარღვევის თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინაც კი, როდესაც პროცესის ფორმა, საქმის გარემოებების განსაზღვრება და შეფასება, კანონის განმარტება ან მისი გამოყენება ცალკეულ შემთხვევებში შეცდომა შეიძლება აღმოჩნდეს, ეს თავისთავად, სულაც არ ნიშნავს კონსტიტუციის დარღვევას.

2. საკონსტიტუციო სარჩელის ფორმა და შინაარსი

საკონსტიტუციო სარჩელი უნდა აღიძრას და დასაბუთდეს წერილობითი ფორმით. დასაბუთება უნდა შეიცავდეს, მინიმუმ, შემდეგი სახის ცნობებს:

ა) საჯარო ხელისუფლების აქტი (სასამართლოს გადაწყვეტილება, მმართველობის ორგანოს აქტი, კანონი), რომლის წინააღმდეგაც საკონსტიტუციო სარჩელია მიმართული, ზუსტად უნდა იქნას აღნიშნული (სასამართლოს გადაწყვეტილების და მმართველობის აქტის შემთხვევაში, აუცილებელია თარიღის, აქტის დასახელების და გამოქვეყნების დღის, ანდა ძალაში შესვლის დღის მითითება).

ბ) ყველა შემთხვევაში, აუცილებლად უნდა იყოს დასახელებული და აღნიშნული იმ ძირითადი უფლების ან მისი ტოლი უფლების სამართლებრივი შინაარსი, რომელიც სავარაუდოდ, გამოცემული სუვერენული აქტით არის დარღვეული.

გ) დასაბუთებულად უნდა ჩამოყალიბდეს, რაში ჩანს ძირითადი უფლებების დარღვევა ცალკეულ შემთხვევებში. აქვე, საკონსტიტუციო სარჩელს, თანდართული უნდა ჰქონდეს დამრღვევი სასამართლოს განაჩენის, გადაწყვეტილების და ა.შ. ორიგინალი, კოპია ან ფოტოასლი. სულ ცოტა, მისი შინაარსი, ადმინისტრაციული საჩივრის დასაბუთების ჩათვლით, ცხადი და აშკარა უნდა იყოს.

დ) დამრღვევ გადაწყვეტილებასთან ერთად, წარდგენილი უნდა იქნას ასევე ის მსგავსი დოკუმენტები ან მონაცემები დასკვნითი პროცესიდან (მაგ. სპეციალური დოკუმენტები, მოსმენის აქტები, ექსპერტიზის დასკვნები) ან შინაარსობრივად იქნას გადმოცემული, რომელთა ცოდნის გარეშეც, შეუძლებელია განსჯა, არის თუ არა საკონსტიტუციო სარჩელით აღძრული პრეტენზიები სამართლიანი.

ე) იმ შემთხვევაში, როდესაც საკონსტიტუციო სარჩელი მიმართულია უწყებრივი და/ან სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მაშინ დასაბუთებაში უნდა ჩანდეს, რა საჩივრებით, განცხადებებით და სარჩელებით გაისარჯა სარჩელის აღმძვრელი ყველა წესის შესაბამისად/კვალიფიციურად, რათა ძირითადი უფლების იმ დარღვევისაგან დაეცვა თავი, რომელსაც ის ამტკიცებს.



დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ანალიზმა ცხადყო, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ, 1996 წლიდან დღემდე, განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა. საკონსტიტუციო სასამართლო, ქვეყანაში კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს და წლების განმავლობაში, განვითარდა და მნიშვნელოვნად დაიხვეწა.

ჩვენ შევეცადეთ, წინამდებარე ანგარიშში აგვესახა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის განვითარების ტენდენციები, განგვეხილა საინტერესო პრეცედენტები; გაგვეანალიზებინა საქმის წარმოების პროცედურასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, პრობლემები და მათი გადაჭრის სავარაუდო გზები; ანგარიშში ასევე შევეცადეთ, წარმოგვედგინა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო აქტების გამოყენების პრაქტიკა და მოკლედ მიმოვიხილეთ საქართველოს კონსტიტუციის II თავთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები. ასევე, შევისწავლეთ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან ყველაზე უფრო ახლოს მდგარი მოდელის და ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხიც საინტერესოა შედარებითი ანალიზის კუთხით.

მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ბოლოდროინდელი ცვლილებები, ვფიქრობთ, უფრო ეფექტურს გახდის სასამართლოს საქმიანობას. კერძოდ, შემოღებული იქნა სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი (*amicus curie*), რაც გულისხმობს სასამართლოსთვის სხვა პირის (ფიზიკური ან იურიდიული) მხრიდან, დახმარების აღმოჩენას საქმის განხილვისას. ძირითადად, საუბარია „სასამართლოს მეგობარზე“, რომელიც არის ნეიტრალური პირი და არ არის დაინტერესებული საქმის შედეგით. ეს პირი სასამართლოს მიაწვდის დასკვნებს და მოსაზრებებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. მართალია, ეს სასამართლოსთვის გასათვალისწინებლად სავალდებულო არაა, მაგრამ ამ ცვლილების პრაქტიკაში დანერგვა, მანც ხელს შეუწყობს სასამართლო პრაქტიკის შემდგომ განვითარებას. მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა და პრაქტიკაში დანერგილი სასიკეთო სიახლეებისა, დღესდღეობით კიდევ არსებობს ხარვეზები როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაშიც, რაც ხელს უშლის სასამართლოს ეფექტურობას და მოითხოვს სრულყოფას. გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელზეც, ანგარიშზე მუშაობისას, ყურადღება იქნა გამახვილებული:

1. მიუხედავად იმისა, რომ კანონი საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ ითვალისწინებს უფლების სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში სარჩელის შეტანას პოტენციურად დაზარალებულის მიერაც, სასამართლოს პრაქტიკაში, თითქმის არ არსებობს შემთხვევები, სასამართლოს მიერ ამგარი სარჩელების დასაშვებად ცნობისა. ეს მაშინ, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, უკუძალა კლასიკური გაგებით, არა აქვს და დაზარალებულის უფლებების აღდგენა, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. რიგ შემთხვევებში, აღნიშნულის გამო, აზრი ეკარგება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვას და დარღვეული უფლების ამ გზით დაცვას, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებას არაქმედის ხდის. მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ, საჭიროა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტის სრულყოფა და თუკი სახეზეა მოსარჩელის მიმართ კონსტიტუციური უფლების სავარაუდო დარღვევა, მომავალში სასამართლომ ამგვარი სარჩელები წარმოებაში უნდა მიიღოს და განიხილოს არსებითად.

ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებას უნდა მიეცეს უკუძალა, რაც საჭიროებს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებას;

2. აღნიშნულ ანგარიშზე მუშაობის პროცესში, პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა 2006 წლის დეკემბერსა და 2009 წლის ოქტომბერში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებებით, სასამართლოს მიერ საქმის განხილვის საერთო ვადა, 6 თვიდან 9 თვემდე გაიზარდა და ეს ვადაც, შესაძლოა, თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კიდევ გაიზარდოს 2 თვით.

ცვლილებების საფუძველზე შეიცვალა განმწესრიგებელი სხდომის ჩატარების ვადა. კერძოდ, თუკი ცვლილებებამდე, სარჩელის შეტანიდან ერთი კვირის ვადაში უნდა გამართულიყო განმწესრიგებელი სხდომა, დღეს დადგენილი აღარ არის კონკრეტული ვადა. რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ სარჩელის დასაშვებობაზე შესაძლოა იმსჯელოს საქმის განხილვის საერთო ვადაში. იმ შემთხვევაში კი, თუ მოსარჩელე პარალელურად ითხოვს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებასაც, განმწესრიგებელი სხდომის 9 თვიან ვადაში ჩატარება, სრულიად არაეფექტურს ხდის სასამართლოს, როგორც კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ინსტრუმენტს, ვინაიდან გასაჩივრებული არაკონსტიტუციური ნორმის მოქმედებით, შესაძლოა, საქმის განხილვამდე მოსარჩელეს გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს. გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, შესაძლებელია განმწესრიგებელი სხდომა ჩატარდეს ზეპირი მოსმენის გარეშეც და მხარეები, მათ შორის მოსარჩელეც, პროცესზე მოწვეული არ იყოს. ეს უსპობს მხარეს საშუალებას, სასამართლოს წინაშე წარმოადგინოს ზეპირი ახსნა-განმარტებები, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა პროცესში და უპასუხოს სასამართლოს მიერ დასმულ შეკითხვებს, რაც თავისთავად უარყოფითად აისახება საქმის შედეგზეც.

ჩვენი აზრით, უმჯობესია, განმწესრიგებელი სხდომა ტარდებოდეს მხოლოდ ზემოთ მოსმენით, ვინაიდან საქმის განხილვის პროცესში, იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ეტაპს და სწორედ მასზეა დამოკიდებული სრჩელის წარმოებაში მიღების საკითხი.

3. წინამდებარე ანგარიშში, ყურადღება გავამახვილეთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების პრაქტიკაში აღსრულების პრობლემებზე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 25-ე მუხლის I პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოველი გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად, თუმცა პრაქტიკაში არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის შემთხვევები და ამის გამო, დღემდე არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა და აღნიშნული არც კანონით არის მოწესრიგებული. ასეთ ვითარებაში, პარლამენტს ან სადავო აქტის გამომცემ სხვა ორგანოს, ყოველთვის აქვს ლავირების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლელეების განხორციელება, რომლითაც შესაძლებელი გახდება აღნიშნული პრობლემის გადაჭრა.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ანგარიშში ვერ იქნება ყოველისმომცველი განხილული საკითხებისა და პრობლემათიკის სირთულისა თუ მასშტაბურობის გამო, თუმცა ვფიქრობთ, ის გარკვეულ დახმარებას გაუწევს კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმებით დაინტერესებულ პირებს და მცირეოდენ წვლილს მათსე შეიტანს შემდგომი კვლევის პროცესში.



გამოყენებული ლიტერატურა

1. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თბილისი;
2. ავთანდილ კახიაშვილი; „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკონვენციასთან“, თბილისი 2002 წ.;
3. ოთარ მელქაძე, „საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე“, თბილისი 1996წ.;
4. საქართველოს კონსტიტუცია 1995წ. ;
5. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 1996წ.;
6. საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“, 1996წ.
7. როგორ მივმართოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლო, თბილისი 2002;
8. მანანა კობახიძე, „კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმი საქართველოში და ადამიანის ფუნდამენტური უფლებები“, საკონფერენციო ნაშრომი, ქ. კომოტინი, საბერძნეთი, 2007 წ.
9. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები „ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“ თბილისი. 2005 წელი;
10. გერმანიის კონსტიტუცია.